პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 169 (5270) | სამშაბათი, 26 ივლისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

გამოცდილების გაზიარებით მივაღწიოთ პარტმუშაობის ამაღლებას (მოწინავე)
ახალგაზრდობის, სიმამაცისა და ძლიერების დღესასწაული.—სსრ კავშირის 35.000 ფიზკულტურელის პარადი მოსკოვში (1-ლი გვ.)
ამხ. ა. ვ. კოსარევის სიტყვა (1-ლი გვ.)
სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომსაბჭოში (მე-2 გვ.)
გაიხსნა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი (მე-2 გვ.)
ა. ქუთელია — კ. მარქსი და ფ. ენგელსი და რუსული ენა (მე-3 გვ.)
რატომ ჩამორჩა ხაშურის რაიონი მოსავლის აღებაში (მე-2 გვ.)

უცხოეთში:

ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.)
მეამბოხეებმა და ინტერვენტებმა უცხოელთა 125 გემი ჩასძირეს (მე-4 გვ.)
საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.).

# გამოცდილების გაზიარებით მივაღწიოთ პარტმუშაობის ამაღლებას

საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების წინაშე დააყენა პარტიულ - პოლიტიკური მუშაობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანის ამოცანა. ამ ამოცანის განხორციელების ერთერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს პარტორგანიზაციათა შორის პარტიული მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება. პრაქტიკა გვასწავლის, რომ ადამიანები, კადრები არა მარტო საკუთარ გამოცდილებაზე იზრდებიან, არამედ სწავლობენ სხვისი მუშაობის მაგალითზე. პრაქტიკა გვასწავლის, რომ პარტიული ორგანიზაციები თავიანთ მუშაობას უნდა აფუძნებდნენ არა მარტო საკუთარ გამოცდილებაზე, არამედ ისინი უნდა სწავლობდნენ მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილებას, ითვისებდნენ ყოველივე კარგს, რაც ამ ორგანიზაციებს აქვთ.

ჩვენი გაზეთის 23 ივლისის ნომერში, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, დაბეჭდილი იყო თბილისის საწარმოების მოწინავე პარტორგანიზაციათა პარტკომების მდივნების წერილები თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ. ამ წერილებმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, დიდი გამოხმაურება ჰპოვა პარტიულ ორგანიზაციებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის ინიციატივით თბილისის რაიონის ფაბრიკა - ქარხნებისა და კოლმეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციები უკვე შეუდგნენ მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობის მეთოდებისა და ხერხების შესწავლას და თავიანთ ორგანიზაციებში გადატანას.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ მასალებს იმის შესახებ, თუ რა ნაბიჯები გადადგეს გამოცდილების ათვისების საქმეში თბილისის რაიონის ავჭალის ბერიას სახელობის, მარტყოფის კარლ მარქსის სახელობის, ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებისა და მცხეთის ხე-ტყის სახერხი და ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნების პირველადმა პარტორგანიზაციებმა.

რა გააკეთეს ამ ორგანიზაციებმა პრაქტიკულად?

პირველი — ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა პირადი საუბრებით და აგიტატორების დახმარებით თვითეულ კომუნისტს აუხსნეს, საფუძვლიანად გააცნეს ჩვენი გაზეთის მასალები, რომლებიც სპეციალურად მიძღვნილი იყო გამოცდილების გაზიარების საკითხებისადმი.

მეორე — ყველა ამ ორგანიზაციაში ჩატარდა სპეციალურად გამოცდილების გაზიარების საკითხისადმი მიძღვნილი ღია პარტიული კრებები, რომლებსაც ესწრებოდნენ კომკავშირელები, თანამგრძნობთა ჯგუფის წევრები და უპარტიო აქტივი. ამ კრებებზე დაწვრილებით განიხილეს მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილება, შეადარეს მოწინავეთა მუშაობა თავიანთ საქმიანობას და ამრიგად გამოააშკარავეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ასე, მაგალითად, ქსნის აგურ-კრამიტის ქარხნის პარტორგანიზაციის კრებაზე გამოირკვა, რომ იქ პოლიტსწავლება და ახალი აქტივის აღზრდის საქმე ვერ არის კარგად დაყენებული, რომ ამ საქმეში პარტორგანიზაციას დასჭირდება უსათუოდ გადაიღოს თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნისა და წისქვილკომბინატის პარტორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილება. მარტყოფის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის კრებაზე გამოირკვა, რომ იქ თანამგრძნობებთან მუშაობა სუსტია, რომ ხშირია პოლიტმეცადინეობის ჩაშლა, რომ საჭიროა ამ ორგანიზაციამ თავის მუშაობაში გამოიყენოს თბილისის პარტორგანიზაციათა საუცხოო გამოცდილება. ასევე საქმიანად მიუდგნენ ამ საკითხს დანარჩენი პარტორგანიზაციებიც.

მესამე — ამ კრებებზე მიიღეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებშიაც გათვალისწინებულია თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილების დანერგვა. გარდა ამისა, თბილისის პარტორგანიზაციათა მუშაობის კიდევ უფრო დაწვრილებით შესწავლის მიზნით გამოყოფილი არიან კომუნისტები, რომლებსაც დაევალათ ადგილზე შეისწავლონ მუშაობა, ნახონ რა კეთდება და როგორ.

დღეს ამ პარტორგანიზაციების მიერ გამოყოფილი ამხანაგები მივლენ თბილისის იმ საწარმოების პარტორგანიზაციებში, რომელთა მუშაობასაც ჩვენს გაზეთში მოთავსებული წერილებით ისინი ძირითადად უკვე იცნობენ. შეისწავლიან რა მთელ მუშაობას, ყოველ წვრილმანსაც კი, ისინი ადგილებზე დაბრუნებისას გააცნობენ თავიანთ ამხანაგებს, თუ როგორ მუშაობენ თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციები, როგორ უნდა მოეწყოს ახალი აქტივის აღზრდა, როგორ მოეწყოს პარტიული სწავლება, რა გზით ავამაღლოთ კომუნისტის ავანგარდული როლი წარმოებაში და სხვ.

აუცილებელია ბოლომდე მივიყვანოთ ხსენებულ პარტორგანიზაციებში თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილების გადატანა, თავგამოდებით ვიმუშაოთ იმისათვის, რომ გამოცდილების გაზიარებამ მართლაც მოგვცეს სათანადო ნაყოფი.

აუცილებელია თბილისის პარტორგანიზაციათა გამოცდილება გავხადოთ არა მარტო რამდენიმე პარტორგანიზაციის, არამედ მთელი საქართველოს პირველადი პარტორგანიზაციების კუთვნილებად.

აუცილებელია გამოცდილების ურთიერთგაზიარების საქმე ისე გავაფართოოთ და გავაღრმაოთ, რომ ის მართლაც გახდეს საუკეთესო იარაღი პარტიული მუშაობის ახალი მძლავრი საერთო აღმავლობისათვის, გადაჭრით გავაუმჯობესებთ რა პარტიულ მუშაობას საქ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობის მითითებათა საფუძველზე.

# საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ

## საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ელისაბედაშვილი გ. ი. (თავმჯდომარე), რაზმაძე ს. მ. (სახალხო კომისრის მოადგილე), ჭყონია ს. დ. (კოოპინკავშირის თავმჯდომარე), რუხაძე ვ. კ. (კოოპინსალაროს გამგეობის თავმჯდომარე), ნანაძე ნ. ს. (სოცუზრუნველყოფის სახკომისარიატის პერსონალურ პენსიათა განყოფილების გამგე), კვანტრიშვილი ი. ა. (სოცუზრუნველყოფის სახკომისარიატის შრომითი პენსიების განყოფილების გამგე).

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე:**
**ვ. ბაქრაძე**

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი**
**რ. ჭელიძე**

# საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობის შესახებ

## საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება

დამტკიცდეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: თოდაძე ო. გ. (თავმჯდომარე), მაჭავარიანი ა. გ. (სახალხო კომისრის მოადგილე), ფრანგულიანი ი. ს. (სახალხო კომისრის მოადგილე), ფალავა ი. ვ. (მთავარ საკურორტო სამმართველოს უფროსი), ჯახაია ზ. (დედათა და ბავშვთა დაცვის სამმართველოს უფროსი), ცაგარელი გ. (თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგე).

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე:**
**ვ. ბაქრაძე**

**საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი**
**რ. ჭელიძე**

# სესხის რეალიზაცია საქართველოში

საქართველოს სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობით, 24 ივლისს ღამის 12 საათისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში გავრცელებული იყო 101.349.000 მანეთის სესხი, ე. ი. 12,7 პროცენტით იმაზე მეტი, ვიდრე გასულ წელს ამავე დროისათვის „თავდაცვის განმტკიცების სესხი" გავრცელდა. აქედან ქალაქის მცხოვრებლებმა სახელმწიფოს სესხად მისცეს 84.759.000 მანეთი, ხოლო სოფლის მოსახლეობამ 16.580.000 მანეთი.

ამავე დროისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სესხი გავრცელებული იყო 8.984.000 მანეთის რაოდენობით, აჭარის ასს რესპუბლიკაში—7.006.000 მან. და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—1.518.000 მან.

25 ივლისს დღის 3 საათისათვის თბილისში სესხი გავრცელებული იყო 37.723.730 მანეთის რაოდენობით.

ახალი სესხის რეალიზაციის საქმეში კვლავ წინ მიდის სვანეთი.

ხელის მოწერა გრძელდება.

# ახალგაზრდობის, სიმამაცისა და ძლიერების დღესასწაული

# სსრ კავშირის 35.000 ფიზკულტურელის პარადი მოსკოვში

## წითელ მოედანზე

ფიზკულტურის პარადი წითელ მოედანზე მოსკოვში 1938 წლის 24 ივლისს გადაიქცა სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდობისა და ძალის საყოველთაო სახალხო დღესასწაულად, სასიხარულო სიმღერებისა და მხიარულების დღესასწაულად, საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო დარაზმულობისა და პატრიოტიზმის შესანიშნავ დემონსტრაციად.

ტრიბუნებზე არიან მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები და დამკვრელები, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურები და პოლიტმუშაკები, გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, ხელოვნების ოსტატები, სტუმრებს შორის არიან საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის სასპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან.

სპეციალური ადგილები უკავიათ დიპლომატიური კორპუსის წევრებს, საბჭოთა და უცხოეთის ჟურნალისტებს.

ყოფილი სახელმწიფო უნივერმაღის შენობის ფრონტონზე შორიდან მოსჩანს ლენინისა და სტალინის დიდი მხატვრული პორტრეტები. ფრონტონის შუაგულში ფრიალებს გიგანტური მეწამული დროშა, რომელზეც სიყვარულით არის გამოყვანილი სიტყვები:

„მგზნებარე სალამი ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარს ამხანაგ სტალინს!"

12 საათი და 55 წუთია. გაისმის ბრძანება „სმენა!", 35.000 ფიზკულტურელი ტანადი და გაწრთვნილი ჭაბუკი და ქალიშვილი, მოედანზე გამწკრივებული, სმენად არის გადაქცეული. რამდენიმე წუთს სუფევს სიჩუმე. მას არღვევს მქუხარე „ვაშა". და აღტაცებით აღსავსე მისასალმებელი შეძახილები. ყველას თვალი მიპყრობილია მავზოლეისკენ, რომლის ტრიბუნაზედაც ავიდნენ ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, კალინინი, ანდრეევი, მიქოიანი, ეჟოვი, დიმიტროვი, შკირიატოვი, უგაროვი, ბულგანინი, ლიტვინოვი, პაპანინი, გრომოვი, ჩკალოვი, კოკინაკი.

ისმის კრემლის სპასკის კოშკის საათის რეკა, რაც პარადის დაწყებას ნიშნავს. საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ვ. კოსარევი, პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ნ. მ. შვერნიკი და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. ზელიკოვი, მიიღეს რა მათ პარადის სარდლის პატაკი, ავტომობილით გარს უვლიან მოედანს და მიესალმებიან პარადის მონაწილეთ. პასუხად გაისმის ერთსულოვანი „ვაშა".

ამხ. ა. ვ. კოსარევი გამოდის ბრწყინვალე სიტყვით, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა მოქალაქეთა მილიონებისადმი.

პროფკავშირთა 22 მილიონი წევრის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოდის ამხ. ნ. მ. შვერნიკი.

მოედანსა და ტრიბუნებზე კვლავ და კვლავ გაისმის მისალმებანი, რომლებიც გამოხატავენ საყოველთაო სახალხო სიყვარულს მშობლიური სტალინისადმი.

იწყება პარადის მონაწილეთა საზეიმო მარში.

მეწინავე კოლონის გაფორმება მიძღვნილია კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ისტორიული გამარჯვებისადმი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნებში. სსრ კავშირის სახელმწიფო ალამი, 11 მოკავშირე რესპუბლიკის დროშები და ღერბები მაღლა ფრიალებენ ფიზკულტურელთა რიგების თავზე. ფრიალებს ვეებერთელა დროშა ლენინისა და სტალინის პორტრეტებით.

იწყება მოძმე რესპუბლიკათა ფიზკულტურელების მსვლელობა. აზერბაიჯანის ფიზკულტურელთა კოლონის თავზე შორიდან მოსჩანს ნავთის აჟურული კოშკურა, რომელსაც მზეზე უბრწყინავს ოქროს ვარაყი, შესანიშნავი ნაყოფი — ყურძენი, ლიმონი, ფორთოხალი — ამკობს მზიანი საქართველოს ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა კოლონას. მავზოლეის წინ მოდიან უკრაინის, ბელორუსიის, სომხეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის ფიზკულტურელები.

მშვენიერი მწყობრით მოდიან ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ლენინის ორდენოსანი ინსტიტუტის სტუდენტები, სტალინის სახელობის ფიზკულტურის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო ცენტრალური ინსტიტუტის სტუდენტები.

საყოველთაო ინტერესს იწვევს სასპორტო საზოგადოება „ლოკომოტივის" კოლონა, რომელიც გაფორმებულია შემდეგ თემაზე „სსრ კავშირი დიდი სარკინიგზო სახელმწიფოა".

აი მავზოლეის პირდაპირ სწრაფად ჩნდება პირამიდა. ჭაბუკები, ქალიშვილები და ბავშვები უჩვენებენ საგიმნასტო ოსტატობის ნიმუშებს. ერთი თვალის დახამხამებაც და მსუბუქმა კონსტრუქციებმა შექმნეს ჯაჭვის ხიდი, რომელიც ეყრდნობა ფიზკულტურელებს. ხიდზე მიდის გიგანტური ვერცხლისფერი ორთქლმავალი. მთელი მოედანი ხედავს წარწერას ტენდერზე „სალამი სტალინურ სახალხო კომისარს ლ. მ. კაგანოვიჩს".

„ტორპედოს" ფიზკულტურელების სტალინის სახელობის ავტოქარხნის მუშების რიგებში მოდის ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც ამასწინათ მთელი რიგი შესანიშნავი გამარჯვებანი მოიპოვა საერთაშორისო შეხვედრებში საზღვარგარეთ.

მაყურებლებში საყოველთაო აღტაცებას და განსაკუთრებულ აღფრთოვანებას იწვევს მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფიზკულტურელთა კოლონა, რომელიც გადადის მოედანს. ტანადი, ჩასხმულნი, ბრინჯაოს ფერად მზისგან დამწვარნი, ისინი ანსახიერებენ იმ უდიდეს ურყევ ძალას, რომელიც ყველაზე სრულყოფილი ტექნიკით აღჭურვილი თავს დაატყდება ყოველ მტერს, თუ იგი განიზრახავს ხელი აღმართოს საბჭოთა კავშირის საზღვრების სიწმინდისა და ხელუხლებლობის წინააღმდეგ.

ორდენოსანი მოსკოვის ოლქის ფიზკულტურელ კოლმეურნეთა კოლონა მორთულია საკოლმეურნეო სიუხვის მომასწავებელი ოქროსფერი თავთავებითა და ნაყოფთა მაკეტებით.

ნებაყოფლობითი საზოგადოება „სპარტაკის" ფიზკულტურელები დღეს პატაკით გამოდიან თავიანთი სასპორტო მიღწევების შესახებ. მათ რიგებს თავს დაჰფრიალებენ ტილოები შემდეგი წარწერებით: „მენიჩბეთა გუნდი, გამარჯვებული სსრ კავშირის პირველობაში", „მძლეოსანთა გუნდი, გამარჯვებული „ვეჩერნაია მოსკვას" ესტაფეტში". „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდი, რომელმაც გაიმარჯვა ანტვერპენის ოლიმპიადაში და რომელმაც 1937 წელს მოიპოვა მუშათა მსოფლიო თასი.

15 საათია. 4.000 დინამოელი ამთავრებს ახალგაზრდობის, სიმარდის, ძალისა და სიმამაცის განსაცვიფრებელ პარადს. მრავალი დროშა სსრ კავშირის ღერბებით გარს არტყია ამხანაგ სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების პორტრეტებს. წითელი მოედანი ხედავს მრავალ ჯილდოს, რომლებიც დინამოელებმა მოიპოვეს საზოგადოების არსებობის 15 წლის მანძილზე. უპატაკებენ რა თავიანთი მუშაობის შესახებ 15 წლის განმავლობაში, დინამოელები ამაყად აცხადებენ, რომ მათ სსრ კავშირში პირველი ადგილი უჭირავთ „მშთ"-ის მხრივ.

ფელიქს ძერჟინსკის პორტრეტი და ნიშანი სრულიად-რუსეთის საგანგებო კომისია-გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველო - შინსახკომი მიუძღვის წინ რაზმს, რომელიც გაფორმებულია თემაზე — „საბჭოთა დაზვერვა პროლეტარიატის დიქტატურის მახვილი და ფარია".

„ჩვენი საზღვრები მაგრად არის ჩაკეტილი", — აცხადებენ დინამოელები. ტრიბუნიდან მოისმის მისალმებები ჩეკისტთა სახელოვანი სტალინური სახალხო კომისრის ამხ. ნ. ი. ეჟოვის პატივსაცემად.

იწყება სასპორტო-საჩვენებელი გამოსვლები, რომლებსაც ხსნიან მოსკოვის მოწაფეები.

მათ მოჰყვებიან ჭაბუკთა და ქალიშვილთა მწყობრი მწკრივები. 2.000 გიმნასტი ზუსტად ასრულებს სხვადასხვა საგიმნასტო ვარჯიშს. გიმნასტები მიუახლოვდნენ მავზოლეის, დაეწყვნენ მჭიდრო კოლონად და შესძახეს:

— ხალხთა ბელადს, ფიზკულტურელთა საუკეთესო მეგობარს დიდ სტალინს — ფიზკულტურული ვაშა! თავიანთ შესანიშნავ სასპორტო ოსტატობას უჩვენებენ ყირგიზეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის ჭაბუკები და ქალიშვილები. ყირგიზეთის ფიზკულტურელები გვიჩვენებენ საბჭოთა ალპინიზმის წარმატებას. ყაზახები ცოცხლად და წარმტაცად ამთავრებენ სახალხო დღესასწაულს. მხიარულია მათი ცეკვა-თამაში.

უზბეკეთის რესპუბლიკის სპორტსმენები უჩვენებენ „რაბისა" და „არხის" მშენებლობას. „არხში" მჩქეფარედ შედის წყალი. მას გამოხატავენ შარფიანი ქალები. ისინი უჩვენებენ ბამბის მინდვრების მორწყვას. სომხეთის ფიზკულტურელები გამოხატავენ „სევანის ჩანჩქერს", „ტურბინებს", „წყალვარდნილს", „არხს".

მხურვალედ ეგებებიან მაყურებელნი საქართველოს სპორტსმენებს, რომელნიც მოდიან ალისფერი დროშებითა და საქართველოს ცხოველმყოფელი მზის დოვლათით — ფორთოხლით, ლიმონით, ყურძნით, მოედანზე სდგამენ იმ სახლის მაკეტს, სადაც დაიბადა სტალინი. სახლი, რომლის ფონს გორის ციხე წარმოადგენს, მორთულია ყვავილებით. ქალები ლამაზ სავარჯიშოებს ასრულებენ ბურთებით, მამაკაცები შუბებით. ისმის ზურნის ხმა. უეცრად მოისმის დაფდაფის განგაში. მეშუბეები რკინის კედელს ჰქმნიან სტალინის სახლის გარშემო.

აზერბაიჯანის ფიზკულტურელების შემდეგ გამოდიან ბელორუსიის სს რესპუბლიკის სპორტსმენები. შუაგულ მოედანს უახლოვდება ყვავილებით მორთული დიდი „მატარებელი". „მატარებელი" ჩერდება, გამორბიან ათობით ჭაბუკები, სპორტსმენები უჩვენებენ ფიზკულტურულ ვარჯიშს, ხტომას, ხიშტით ბრძოლას, შენიღბვას. წარმტაც სანახაობას წარმოადგენს ხალხური ცეკვა „ბულბა".

აყვავებული ბაღებისა და მინდვრების ფონზე ეწყობა უკრაინელ ფიზკულტურელთა გამოსვლები. მოედანზე აგებენ დიდ ხალიჩას, ქალიშვილები დგამენ ამ ხალიჩაზე ყვავილიან კალათებს.

— უკრაინა სსრ კავშირის მიუვალი ფორპოსტია — სწერია უზარმაზარ წითელ ტილოზე.

ფიზკულტურელები უპატაკებენ ამხანაგ სტალინს, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს საბჭოთა უკრაინის მშრომელების საბრძოლო მზადყოფნის შესახებ, რათა ყოველ წუთს გამოვიდნენ მშობლიური მიჯნების დასაცავად.

○

მოსკოვის ფიზკულტურის საოლქო ტექნიკუმის სტუდენტები თავის გამოსვლას უძღვნიან ლენინურ კომკავშირს.

ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტები მოედანზე მოდიან საბჭოთა მეზღვაურების კოსტიუმით გამოწყობილნი. ირხევა მსუბუქი ცისფერი ქსოვილი — „ზღვა". მის ტალღებში არის სამხედრო „გემი". სტუდენტები უჩვენებენ ცხოვრებას „გემზე".

პარადის ღირსეული დასრულება არის სტალინის სახელობის ფიზიკური კულტურის ცენტრალური ინსტიტუტის მხატვრული გამოსვლა. იგი მიძღვნილია თემისადმი: „თუ ხვალ ომი ასტყდა". ფიზკულტურელები უჩვენებენ, რომ ომის დროს ისინი იქნებიან მფრინავები, ტანკისტები, არტილერისტები...

საღამოს 6 საათსა და 35 წუთზე მთავრდება საბჭოთა ახალგაზრდა თაობის ჯანმრთელობის, ძლიერების, სიმარდისა და სიმამაცის განსაცვიფრებელი პარადი, საბჭოთა პატრიოტიზმის დიდებული დემონსტრაცია.

(საკდესი).

## ამხ. ა. ვ. კოსარევის სიტყვა

ამხანაგებო, სოციალიზმის დიადი ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქენო! ამხანაგო ფიზკულტურელებო, საბჭოთა კავშირის მოძმე სოციალისტური რესპუბლიკების წარმომადგენლებო! ამხანაგო კომკავშირელო ქალ-ვაჟნო! დღეს ჩვენ ჩვენი მუშაობის ანგარიშს ვაბარებთ ჩვენს დიად საბჭოთა ხალხს, ჩვენს საბჭოთა მთავრობას. ჩვენი სასპორტო ფიზკულტურული მუშაობის მოკრძალებულ ნაყოფს, რომელსაც აქ პარადზე ვუჩვენებთ, ჩვენ ვთავაზობთ ჩვენს ლენინ-სტალინის უძლეველ პარტიას და ვუძღვნით ჩვენს მშობლიურ მამას, საყვარელ მასწავლებელს ამხანაგ სტალინს (**ტაში**).

ამხანაგებო, ჩვენ გვზრდის საბჭოთა ხელისუფლება, ლენინ-სტალინის პარტია. საბჭოთა ქვეყნის ხალხი ჩვენს ახალგაზრდობას სიამაყით უწოდებს სტალინის გამოზრდილებს. ჩვენ უსაზღვროდ ბედნიერნი ვართ იმით, რომ ვცხოვრობთ, ვმუშაობთ, ვსწავლობთ და ვიბრძვით დიდ სტალინთან ერთად, მისი უშუალო ხელმძღვანელობით. თვითეული ჩვენთაგანი — საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა ადამიანთაგანი — ძლიერია ამხანაგ სტალინის დიადობით, ბოლშევიკური პარტიის სიბრძნით. ახალგაზრდობაზე მთავრობისა და ჩვენი პარტიის მზრუნველობის პასუხად, ამხანაგებო ვიმუშაოთ, კიდევ უკეთესად, ვისწავლოთ კიდევ მეტი წარმატებით! ჩვენ ვალი გვდევს ჩვენი ხალხის წინაშე ხალხი ჩვენს ახალგაზრდობას აძლევს ყველაფერს — სამუშაოს, სწავლას, დასვენებას, გართობას, ლამაზ ცხოვრებას. მაშ, ვიმუშაოთ კიდევ უფრო წარმატებით! მრავალ მილიონიანი საბჭოთა ახალგაზრდობის წრიდან სამშობლოს ძღვნად მოვუმზადოთ, გავწვრთნათ ათეული ათასობით ინჟინრები, ტექნიკოსები, მეცნიერების მუშაკები.

ქალაქისა და სოფლის ასეული ათასობით ახალგაზრდა ადამიანები, ლენინური კომკავშირის მოახლოებულ 20 წლისთავთან დაკავშირებით, აამაღლებენ თავის ტექნიკურ დონეს, თავის ტექნიკურ ცოდნას, ზედმიწევნით ეუფლებიან თავის საქმეს: მათი დაზგები, მანქანები, აგრეგატები უგანაცდენოდ, დაუმტვრევლად, უავარიოდ იმუშავებენ.

ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანები ლენინურ-სტალინური კომკავშირის 20 წლისთავის აღსანიშნავად კისრულობენ ვალდებულებას იყვნენ ყოველი იმ საქმის მოწინავეები, რომელზედაც კი ჩვენ დაგვაყენა ხალხმა, ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა მთავრობამ, — იქნება ეს მუშაობა მაღაროში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ქარხანაში, ფაბრიკაში თუ საბჭოთა დაწესებულებაში, ლაბორატორიაში, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში.

სამშობლოს ძღვნად ჩვენ ვკისრულობთ ვალდებულებას და ბოლშევიკურად შევასრულებთ ამ ვალდებულებას, — ვიყოთ მოწინავენი სწავლაში, დაწყებით, საშუალო და უმაღლეს სკოლაში, ყველა მეცნიერების შესწავლაში, ტექნიკისა და ხელოვნების შესწავლაში.

სამშობლოს ძღვნად ლენინურ-სტალინური კომკავშირის 20 წლისთავთან დაკავშირებით ჩვენ სიტყვას ვაძლევთ ამხანაგ სტალინს ათეულ ათასობით მოვამზადოთ მფრინავები ჩვენი უმშვენიერესი ახალგაზრდობის წრიდან.

ჩვენ ვუცხადებთ მთელს ხალხს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა გაამართლებს ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის მზრუნველობას, გაამართლებს საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მოლოტოვის მზრუნველობას (**ტაში „ვაშას" შეძახილები**).

საბჭოთა ახალგაზრდობა შემდეგშიც გაჰყვება ამხანაგ სტალინს, ბოლშევიკურ პარტიას, ერთი ნაბიჯითაც კი არ დასცილდება პარტიას, ამხანაგ სტალინს.

ჩვენ ჯერჯერობით სოციალიზმის ერთადერთი ქვეყანა ვართ. მთელი კაპიტალისტური სამყარო ჩვენი წინააღმდეგია. მტრები ჩვენ ომს გვემუქრებიან. ამ დღეებში, ალბათ ყველანი წაიკითხავდით გაზეთებში მოთავსებულ ცნობას იაპონიის დიპლომატის საუბარზე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისართან. ჩვენ, მილიონობით ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანები, რომელთა ბედიც დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანასთან, გვერდს ვერ ავუვლით იაპონიის დიპლომატის მუქარას (**ტაში**).

ჩვენ ვთხოვთ საბჭოთა მთავრობას მტრის პირველ გასროლისთანავე მოგვცეს ჩვენ — ახალგაზრდობას უფლება ბოლშევიკურად ჭკუა ვასწავლოთ გათავხედებულ მტერს (**ტაში**).

ჩვენ გარანტიას ვაძლევთ ჩვენს მთავრობას, რომ ჭკუას ვასწავლით მტრებს, ვაიძულებთ მას ზრდილობიანად, თავაზიანად, პატივისცემით მოეპყრას ჩვენს სამშობლოს, ჩვენს საყვარელ საბჭოთა ხელისუფლებას (**ტაში, „ვაშას" შეძახილები**).

უცხოეთის სახელმწიფოთა ზოგიერთ წარმომადგენელს, როგორც ეტყობა, დაავიწყდა, რომ საბჭოთა კავშირი — ეს ჩრდილოეთ მანჯურია როდია. ჩვენ გვემუქრებიან. ჩვენ ვერ შეგვაშინებენ. მუქარას დიდი ხანია შევეჩვიეთ, ძალას კი გაათკეცებული ძალით ვუპასუხებთ.

ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელსაც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის პირველი მარშალი ამხანაგი ვოროშილოვი, სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია (**ტაში**).

ამხანაგებო, ეს განცხადებანი ჩვენს ახალგაზრდობას ავალებენ ახალი ძლიერებით განამტკიცოს ჩვენი ქვეყნის თავდაცვა, შეისწავლოს სამხედრო საქმე, კიდევ უფრო წარმატებით და კიდევ უფრო მეტი რაოდენობით მოამზადოს წითელი არმიის კადრები, სამხედრო სპეციალისტები — არტილერისტები, ქიმიკოსები, მფრინავები და სხვები.

განამტკიცებს რა ჩვენს არმიას, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა შემდეგშიაც დაუზოგავად აღმოფხვრის ხალხის მტრებს ტროცკისტ-ბუხარინელ მავნებლებს, ჯაშუშებსა და მკვლელებს.

გაუმარჯოს ამხანაგებო, ჩვენს დიად მძლავრ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ წითელ არმიას!

გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ პარტიას კომუნიზმისას — ბოლშევიკების პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს! ვაშა! (**ტაში.**)

# თვითმფრინავის მოდელის გაფრენის ხანგრძლივობის სრულიად-საკავშირო რეკორდი

**მოსკოვი**, 23 ივლისი (საკდესი). სსრ კავშირის კოსარევის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო-სასპორტო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა, როგორც ხანგრძლივობის სრულიად-საკავშირო რეკორდი, ლენინგრადელი ავიამოდელისტის მ. შაროვის კონსტრუქციის თვითმფრინავის მოდელის გაფრენის შედეგი. მისმა ავიამოდელმა, რომელიც აღჭურვილია ბენზინით მომუშავე პაწაწა მოტორით „ამ-1", ჰაერში დაჰყო 38 წუთსა და 30 წამს.

მასალები მ. შაროვის ავიამოდელის გაფრენის შესახებ ეგზავნება საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის პრეზიდიუმს, რათა დამტკიცებულ იქნას იგი როგორც საერთაშორისო რეკორდი.

ამხანაგ **სტალინის** სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ფუნიკულორის პლატოზე.
**სურათზე:** მთავარი საფეხურიანი ხეივანი სტალინის მთაზე. — ფოტო რ. აკოფოვისა



ამხანაგ **სტალინის** სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის ერთერთი ალეა (ხეივანი) ფუნიკულორის პლატოზე. ფოტო ი. რიშკოვისა და მ. კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

კომუნისტი

სამშაბათი, 26 ივლისი, 1938 წ. № 169 (5270)

# საბჭოთა ახალგაზრდობის დღესასწაული

(მოსკოვი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

დღეს წითელი მოედანი საბჭოთა ახალგაზრდობის ზეიმით იყო აღგზნებული. დღეს აქ ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდობა მხიარულობდა. დღეს წითელ მოედანზე დემონსტრირებულ იქნა საბჭოთა ახალგაზრდობის მგზნებარე პატრიოტიზმი, მისი უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, ერთგულება სსრ კავშირის ხალხთა წმინდა მეგობრობისადმი, მისი უსაზღვრო სიყვარული ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. პარადმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა ყოველ მომენტში მზად არის ურყევად აღიმართოს თავისი ქვეყნის საზღვრების დასაცავად. და მქუხარე ტაში, რომელიც დღეს გაისმა წითელ მოედანზე ამხ. კოსარევის იმ სიტყვების შემდეგ, რომ ჩვენ არავის მივცემთ უფლებას მუქარის ენით გველაპარაკოს, რომ ჩვენ მუდამ მზად ვართ ძალას გაათკეცებული ძალით ვუპასუხოთ, — გაისმა სერიოზულ გაფრთხილებად: ქვეყანა, რომელსაც ისეთი ახალგაზრდობა ჰყავს, როგორიცაა ჩვენი ახალგაზრდობა, განსაკუთრებულ მოპყრობას მოითხოვს! ჩვენი ფიზკულტურელები მზად არიან ყოველ მომენტში შესცვალონ ბადროები ხელყუმბარებით, ხოლო ნიჩბები — შაშხანებით.

სსრ კავშირის ფიზკულტურელებმა თავისი პარადი ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს მიუძღვნეს. სტალინის სახელით მოვიდნენ ისინი წითელ მოედანზე, მისდამი იყო მიმართული მათი სიყვარული, მათი სიმღერები, მათი აღფრთოვანებული ხედვა და მათი მისალმების შეძახილები. ყოველი გამოსვლა გამსჭვალული იყო უსაზღვრო სიყვარულით სტალინისადმი. ბელადისადმი მისალმებით დაიწყეს ყირგიზებმა თავიანთი გამოსვლები. სტალინის პორტრეტით, რომელიც გაკეთებულია ყვავილებისა და ბამბისაგან, გამოვიდნენ თურქმენეთის ფიზკულტურელები, „სალამი სტალინს!" — აი პირველი სიტყვები, რომლებითაც გამოვიდნენ პარადზე სომხეთის, საქართველოს და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა ფიზკულტურელები. აი წითელ მოედანზე ფართოდ იშლება პიონერთა ბანაკი, თეთრად მოსჩანან კარვები, მიიმართება ცისფერი მდინარე. და უეცრად ცხელ ზაფხულს სცვლის ცივი ჩრდილოეთი — ყინული, პაპანინელთა ბანაკი, ყინულმჭრელი „ტაიმირი". პიონერთა ზღაპრული გემი წითელ მოედანზე მოიმართება დი პატარა „პაპანინელი„ — პიონერები თავის პაწია ხელებით სალამს აძლევენ დიდ პაპანინელებს — ივანე დიმიტრის-ძესა და ერნსტ თედორეს-ძეს, რომელნიც ტრიბუნაზე დგანან. აი ჩნდება უკრაინის აყვავებული ბაღები და ოქროს ველები, ანძიანი გემი, რომელზედაც ლენინგრადელები მისცურავენ.

ჩვენ მოვისმინეთ კილაძისა და თაქთაქიშვილის მშვენიერი, სიმხნევით აღსავსე მუსიკა, რომელიც თან ახლდა საქართველოს ფიზკულტურელთა გამოსვლებს, სომხეთის კომპოზიტორის სატიანის მარში, აზერბაიჯანის კომპოზიტორ ყარა-ყარაევის და ბელორუსიის კომპოზიტორ შჩეგლოვის დიდი მუსიკალური სურათი. პარადისათვის დიდი მუშაობა ჩაატარა დუნაევსკიმ. მისი ახალი „ფიზკულტურელთა სიმღერის" ხმებზე გამოვიდნენ ლენინგრადის სპორტსმენები. ლებედევ-კუმაჩის სიტყვებზე დაწერილ „ახალგაზრდობის სიმღერით" წითელ მოედანზე გამოვიდნენ სტალინის სახელობის ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის სტუდენტები.

საქართველოს ფიზკულტურელთა გამოსვლა 5 საათსა და 40 წუთზე დაიწყო. ისინი გამოვიდნენ მოედანზე წითელი დროშებით, საქართველოს სსრ ღერბით. ისინი მივიდნენ ტრიბუნასთან, რომელზედაც დიდი სტალინი იდგა, და იმათმა მძლავრმა მისალმებამ სტალინისადმი ქართულ ენაზე მთელი მოედანი შესძრა.

მოედნის შუაგულში ოქროსფერი ბურთებით ხელში ქალიშვილები გამოცქრიალდნენ. შესანიშნავი მელოდია ძლიერდება და მთელ მოედანს ედება. ჰაერში ელვარებენ მზით გაბრწყინებული ოქროსფერი ბურთები. ტრიბუნაზე მყოფთა ტაშის გრიალში ქალიშვილები სტოვებენ მოედნის ცენტრს. მათ ადგილს ვაჟები იჭერენ და ქალიშვილები მათ გარშემო ნახევარწრეს აკეთებენ. ვაჟები ტაქტის შესაბამისად გიმნასტურ ვარჯიშობას იწყებენ. ისინი წითელი დროშებით ვარშემორტყმულნი საუცხოო გიმნასტურ ვარჯიშობას აწყობენ შუბებით, რომელნიც წითელი ალმებითაა შემკული. მათ კვლავ ქალიშვილები სცვლიან. წითელ მოედანზე ჩაღდება რიტმიული ცეკვა, რომლის ტემპი თვითეული წამით მატულობს. მოედნის ცენტრში დიდი ხალიჩის წრე ჩნდება. გიმნასტები მასზე ნაციონალურ ჭიდაობას მართავენ. ეს შესანიშნავი სანახაობა ყველა მაყურებელს იტაცებს. ცეკვა დამთავრდა. ხალიჩას სწრაფად იღებენ და აი მოედანზე გამოჩნდება სახლი, რომლის ფასადზე გადაჭიმულია წითელი ლენტი წარწერით: „სალამი დიდ სტალინს ქართველი ხალხისაგან". მღელვარება მოიცავს ტრიბუნებს, ყველა სცნობს ამ სახლს. ეს ხომ ნატურალური სიდიდის ასლია გორის იმ სახელგანთქმული სახლისა, რომელშიაც ამხანაგი სტალინი დაიბადა! ტრიბუნებზე ტაში გრიალებს. მზრუნველობითა და სიყვარულით გარსევლება ლეგენდარულ სახლს საქართველოს მშვენიერი ახალგაზრდობა. გორის სახლთან ფიზკულტურელები დგანან ოქროსფერ ნახევარდისკოდ, რომლისგანაც 11 სხივი გამოდის. ეს სხივები 11 ძმური მოკავშირე რესპუბლიკის სიმბოლოს წარმოადგენს. 5 საათსა და 55 წუთზე „სიმღერით სტალინზე" დასტოვეს საქართველოს ფიზკულტურელებმა წითელი მოედანი და მათი ადგილი აზერბაიჯანმა დაიჭირა.

დიდი აღმავლობით ჩატარდა უკრაინის ფიზკულტურელთა გამოსვლა. „უკრაინა — სსრ კავშირის მიუვალი ფორპოსტია" — ეს იყო მათი ძირითადი თემა. ფიზკულტურელმა ქალიშვილებმა მაღლა აიტაცეს ყვავილებითა და ხილეულობით სავსე საკოლმეურნეო სიუხვის ამსახველი კალათები და ტრიბუნებისაკენ გაემართნენ. მოედნის მარცხენა მხარეზე წითელი ტილოები გაიშალა. ეს — უკრაინის საზღვარია, კორდონი. და როდესაც ამ ტილოებს მიღმა ფაშიზმის გამომხატველი ვეებერთელა ურჩხული გამოჩნდა და სირენის საგანგაშო ძახილი გაისმა, უკრაინის ფიზკულტურელთა წყება მყის საბრძოლოდ მოემზადა, და შაშხანამომარჯვებულნი, ისინი საზღვრისაკენ გაეშურნენ. მოედანი სხვადასხვაფერი პარაშუტებით იფარება: ეს — „საჰაერო დესანტი" გადმოსხეს. თავხედი მტერი მოგერიებულ იქნა. ეს ბრწყინვალე დემონსტრაცია ჩვენი ახალგაზრდობის საბრძოლო მზადყოფნისა პარადის ერთ-ერთი ცენტრალური მომენტი იყო. „თუ ხვალ ომი იქნება", — საბჭოთა ქვეყანა ღირსეულად შესძლებს მტრის შეხვედრას.

24 ივლისი, 1938 წ.

# გაიხსნა სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი

მამადავითზე კი არა, ფუნიკულორის პლატოზე, უფრო სწორად— სტალინის მთაზე ჯერ არ ყოფილა ამდენი ხალხი, ასეთი დროსტარება, ასეთი ზეიმი. „სტალინის მთა" შეიძლება ვუწოდოთ დღეს ჩვენ ფუნიკულორს მოხდენილს, ლამაზსა და მშვენიერს.

არასოდეს, საქართველოს ისტორიის თვალუწვდენ მანძილზე ამდენ მშრომელს არ მოუყრია თავი ამ მთაზე. არასოდეს ამდენი ბედნიერი ადამიანი არ ყოფილა აქ, ამდენი მხიარულება და ხალისი არ ყოფილა აქ მიდამოებში.

ეს იყო მხოლოდ 24 ივლისს სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის გახსნის დღეს. ეს დღე ამითაა შესანიშნავი. თბილისის ისტორიის ანალებში ახალი თარიღი ჩაიწიშნა: დედაქალაქის უძვირფასესი შენაძენის, მისი სამკაულისა და მშვენების, ქალაქის თავზე გაშენებული ახალი პარკის—ფუნიკულორის გახსნა.

საშინელი სიცხეაო, რომ იტყვიან სწორედ ისე იყო 24 ივლისს თბილისში. თბილისელებმა დილიდანვე მიაშურეს მტკვრის სანაპიროებს, პარკებს, ხეივნებს. მიდიოდნენ ბავშვებით, სურსათ-სანოვაგით, მთელი ჯალაბობით. ფუნიკულორის გახსნის თარიღი ყველას ახსოვდა. ყველა ფუნიკულორის შესახებ ლაპარაკობდა. ამიტომ იყო, რომ ბოტანიკური ბაღის, მუშტაიდის, ლისის ტბის, ვერის პარკისა და მრავალი სხვა პარკების გარდა, დიდძალი ხალხი დილიდანვე ფუნიკულორზე გაეშურა. ნაშუადღევის 5 საათისათვის ფუნიკულორზე უკვე ასულიყო 5.000-მდე მშრომელი.

მასობრივი ასვლა ფუნიკულორზე ნაშუადღევის 5 საათიდან დაიწყო. არც ავტობუსები, არც ტაქსები და არც სხვა სატრანსპორტო საშუალებანი საკმაო არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ყველა მსურველი ამ საღამოს სტალინის მთაზე აეყვანა. ფუნიკულორის ქვედა სადგურთან ზღვა ხალხს მოეყარა თავი.

ასევე უწყვეტ ტალღად მიედინებოდნენ ავტომობილთა ქარავნები ფუნიკულორისაკენ კოჯრის გზატკეცილით. ასი, ორასი... ვინ დასთვლიდა რამდენი ავტომობილი ავიდა ამ დღეს ფუნიკულორზე.

მშრომელებით აივსო ფუნიკულორის პარკი, ხალხით აივსო მახლობელი მიდამოებიც. პარკის გახსნის დრო ჯერ კიდევ არ იყო, მშრომელები დადიოდნენ პარკში, ათვალიერებდნენ მის სხვადასხვა კუთხეებს, ნაგებობებს, ათვალიერებდნენ ქალაქს, რომელიც ზღაპრულ სანახაობად გადაშლილიყო მათ წინაშე ფუნიკულორის სიმაღლიდან.

საიდან, ქალაქის რომელი კუთხიდან გინდათ, რომ აქ არ მოსულიყვნენ: ნავთლუღიდან, დიდუბიდან, ღრმაღელიდან, მცხეთიდან, ორთაჭალიდან. მუშები, დიასახლისები, მოსამსახურეები, ინჟინრები. ყველა ასაკის, ეროვნებისა და პროფესიის წარმომადგენლები იყვნენ ახალი პარკის გახსნაზე დასასწრებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ამხ. სტეფანე ქსოვრელს ირგვლივ ტრამვაელები შემოხვეოდნენ.

—ა, როგორ მოგწონს სტეფანე აქაურობა? — ეკითხებიან მას.

— შესანიშნავია, საუცხოოა, ჩემო არჩენაკ.

დეპუტატთან მოსაუბრე არჩენაკ მანუკოვი 12 წელიწადი მუშაობდა მექანიკოსად ფუნიკულორის ვაგონებზე და დღეს როცა მან პირველად ნახა განახლებული, გაცოცხლებული და მწვანით მოსილი ყოფილი ხრიოკი მამადავითის მთა, მის განცვიფრებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

საგარეჯოდან ჩამოსულებს, სოფ. თოხლიაურის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელს ელიზბარ ბედიაშვილს და კალატოზ სერგო ასლამაზოვს კამათი მოსვლიათ. ერთი ამბობდა—ამაზე უფრო ლამაზი ადგილი საბჭოთა კავშირში ირ იქნებაო. მეორე კი უმტკიცებდა:

— ბიჭო, მე და შენ არ გვინახავს, თორემ დიდ საბჭოთა კავშირში ამაზე უფრო უკეთესი ადგილიც ბევრი იქნება.

ხალხი განაგრძობს ფუნიკულორზე ასვლას. ზედა სადგურის ვეებერთელა, შესანიშნავი შენობის აივნები, დარბაზები, ოთახები სავსეა ხალხით. საბავშვო ოთახებში პატარები ისვენებენ, თამაშობენ, ერთობიან.

— დედიკო, ოღონდაც აქ დამტოვე და არასოდეს ვიცელქებ!

საჭადრაკო დარბაზი, საშაშო, საბილიარდო სავსეა. სარკესავით გაკრიალებულ რესტორანში და კაფეში ადგილის განთავისუფლებას ელიან. მოახლოვდა საღამოს 8 საათი, პარკის ოფიციალურად გახსნის დრო.

ფერადფერადმა მაშხალებმა ჰაერში აიშხუილეს და შორს, მაღალი „ოქროს წვიმა" გააჩინეს. პარკის სხვადასხვა კუთხიდან ისმის მაშხალების სროლის ხმა. სადღაც შორს, დიდუბისკენ საპასუხო მაშხალები აუშვეს ჰაერში. ეს ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში — მუშტაიდში იყო. ძველი მუშტაიდი მიესალმა ახალ თანამოძმეს და „მოქიშპეს".

მოედნებზე ცეკვა-თამაშია. ქვემოთ, შადრევანთან სასულე ორკესტრი უკრავს და მოფოქსტროტე წყვილები ერთმანეთში ირევიან. ტერასიანი კიბის თავზე, ბელადის სკულპტურულ ქანდაკებასთან თვითმოქმედი ჯაზ-ორკესტრი უკრავს. აქ გახურებული ტანგოა. მეზობლად ბავშვების მხიარულებაა, გადაღმა, ოქროყანისკენ ლეკურის და ბაღდადურის ცეკვაა გაჩაღებული.

— ლაპარაკობს სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკის რადიო-კვანძი. ბავშვებო, საზაფხულო კინო-პავილიონთან თქვენთვის კონცერტი იწყება. მიაშურეთ ჩქარა, არ დაიგვიანოთ და წესრიგი არ დაარღვიოთ!

— ესტრადისკენ, ესტრადისკენ!— გაისმა ბავშვებში ძახილი.

ესტრადაზე ლექსს კითხულობენ:

ჩემი სამშობლო დღეს სულ სხვა არის
მას წინ მიუძღვის ხალხის გენია,
ეს რა ტალღაა... ეს რა ზღვა არის,
ეს რა ზღვაურის მონადენია!

(პ. კობახიძე).

კინოში კომედიურ ფილმს უჩვენებენ, მოზრდილთა ესტრადაზე კონცერტია, შტამპერტზე აკრობატები გამოდიან და ბაღის სხვა კუთხეში სხვა გასართობებია. მაშხალები კვლავ ანთებენ „ცეცხლის წვიმას", ბენგალური კოცონი და ჩინური ბორბალი „იწვის". გაჩირაღდნებულ პარკში ურიცხვი ხალხია. ირგვლივ ელექტროჭაღების გირლიანდებია და ფერადი სინათლე აშუქებს ნორჩ მცენარეებს. იმ ადგილიდან, სადაც ბელადის გრანდიოზული ფიგურაა აღმართული, მთელი პარკი მოსჩანს. მოსჩანს თბილისიც.

შუაღამემ მოაწია, როცა ხალხმა უკან დაბრუნება იწყო. 130 ათასამდე მშრომელი დაესწრო პარკის გახსნას.

მამადავითზე ჯერ არ ყოფილა ამდენი ხალხი.

დ. ლომთაძე.

ამხანაგ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. სურათზე: ახლად რეკონსტრუირებული ვაგონები ფუნიკულორზე.

ფოტო ი. რიშკოვისა და მ. კვირიკაშვილის („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

# რატომ ჩამორჩა ხაშურის რაიონი მოსავლის აღებაში

(ხაშური, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ხაშურის რაიონში 20 ივლისისათვის თავთავიანი კულტურების მოსავალი აღებული იყო 11.164 ჰექტარზე, რაც გეგმის მხოლოდ 52,1 პროცენტს შეადგენს. ეს მაშინ, როდესაც საქართველოს მთელი რიგი რაიონები ამთავრებენ მოსავლის აღებას. მაგალითად, ამავე რიცხვისათვის სიღნაღის რაიონს აღებული ჰქონდა მოსავლის 98,5 პროცენტი, ლაგოდეხის რაიონს—98,6, ხოლო ბორჩალოს რაიონმა ძირითადად უკვე დაამთავრა მოსავლის აღება.

რაიონის ჩამორჩენის მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ საკავშირო სახკომსაბჭოს 23 ივნისის ცნობილი დადგენილებიდან 1938 წლის მოსავლის აღების შესახებ, რაიონის ხელმძღვანელ მუშაკებს არ გამოუტანიათ სათანადო დასკვნა, არ გარდაუქმნიათ მუშაობა ამ დადგენილების შესაბამისად.

მიწგანის და მტს-ების მუშაკები მხოლოდ მაშინ ამოძრავდნენ, როცა საკოლმეურნეო მინდვრებზე საგანგაშო მდგომარეობა შექმნა პურის ერთბაშად შემოსვლამ. მანამდე კი რეზოლუციებით და თათბირების მოწვევით კმაყოფილდებოდნენ, ნაცვლად იმისა, რომ სრულ წესრიგში მოეყვანათ კომბაინები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებაში, მოემზადებინათ მოსავლის ხელით ასაღები ინვენტარი, გაენაწილებინათ ძალები, გაეშალათ ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს შორის.

დავალება კი რაიონს საკმაოდ დიდი და პასუხსაგები აქვს. თავთავიანი კულტურები მან უნდა აიღოს 21.388 ჰექტარზე, აქედან კომბაინებით უნდა აღებულიყო 5.500 ჰექტარი. აგარის მტს-ის კომბაინებს უნდა აეღო 3.500, ხოლო ოსიაურისას 2.000 ჰექტარი. შეასრულებენ თუ არა მტს-ები ამ გეგმას? საეჭვოა. საეჭვოა არა იმიტომ, რომ გეგმა დიდია, არამედ იმიტომ, რომ მარცვლეულმა დაცდა არ იცის. კოლმეურნეები შეეცდებიან მარცვლეულის ჩაცვენის თავიდან აცდენის მიზნით მობილიზაცია უყონ ძალებს და ხელით აიღონ ის მოსავალიც, რომლის აღებას კომბაინები ვერ ასწრებენ.

რატომ ვერ ასწრებენ კომბაინები? ჯერ ერთი იმიტომ, რომ მოსავლის აღება გვიან დაიწყო. გარდა ამისა, მთელი რიგი კომბაინის რემონტის ხარისხიც ძლიერ ცუდი ყოფილა, როგორც ეს მუშაობის პროცესში გამოირკვა. სათადარიგო ნაწილებით კომბაინები არ არიან მომარაგებულნი, მოძრავი ავტოსახელოსნოები არ გამოუყვიათ და დღესაც არ მუშაობენ. ოსიაურის მტს-ის (დირექტორი ამხ. კ. კუცია) კომბაინერის სტეფანე მეტივიშვილის კომბაინი, რომელიც ქვემო-ოსიაურის მეორე ხუთწლედის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთზე მუშაობს, მინდორზე ძველი უვარგისი კბილანითა და გაულესავი ცელით გავიდა. აუარებელ თავთავებს სტოვებს მისი კომბაინი. კბილანას დაჰპირებია მექანიკოსი სოფრომაშვილი, მაგრამ ის დაპირების შემდეგ არ გამოჩენილა. ს. ქვენატკოცის კოლმეურნეობაში მტს-მა ვერ უზრუნველჰყო ორი კომბაინის გაგზავნა თანახმად ხელშეკრულებისა. მუშაობს ერთი კომბაინი, მოსავალი კი მოძალებულია და მარცვლეულის ჩაცვენის საფრთხე არსებობს.

აგარის მტს-ის (დირექტორი ამხ. მიქაძე) კომბაინერი გიორგი ბურჯანიძე სოფელ მოხისის კოლმეურნეობის ნაკვეთზე მუშაობს. 16 ივლისს მან გააფუჭა მაგნეტო, 17 ივლისს გადაწვა საკისური, ეს ვერ შეამჩნია და მოტორი მთლიანად გაჩერდა. აგრეგატი უქმად იდგა თითქმის მთელი დღე. კავშირი მტს-თან მან არ გააჩნდა, არც მტს-ის დირექცია არის დაკავშირებული მინდვრად გასულ კომბაინებთან უტრანსპორტობის გამო. ასე, რომ რამდენიმე, ზოგჯერ ათეული კილომეტრი კომბაინერმა ან მისი აგრეგატის წევრმა ფეხით უნდა გაიაროს, რომ მტს-ის დირექციას დაზიანების შესახებ აცნობოს. ეს კი აუცილებელია, რადგან სათადარიგო ნაწილები თითქმის არც ერთ კომბაინს თან არა აქვს. ამიტომაც ბურჯანიძეს 6 დღე-ღამის განმავლობაში 45 ჰექტარზე მეტი არ აუღია.

აგარის მტს-ის დირექციას ისიც კი ვერ მოუსაზრებია, რომ რკინის ვეებერთელა კასრებიდან საწვავი მასალის გადასხმა უძაბროდ არ შეიძლება. კომბაინერები აპირქვავებენ ვეებერთელა რკინის კასრებს ვედროებში, ვედროებიდან კი ასხამენ პირდაპირ ტრაქტორსა და კომბაინში. ასეთ პირობებში განა შეიძლება ლაპარაკი საწვავი მასალის ეკონომიაზე?

არავითარი წახალისება, არავითარი მზრუნველობა კომბაინერების მიმართ. აგარის მტს-ში მომუშავე ტრაქტორისტების და კომბაინერებისათვის 1937 წლის ხელფასი და შრომადღეების დავალიანებაც არ გაუსტუმრებიათ. გეგმით 1.200 ჰექტარი ხაშურის რაიონში თვითმკვრელებით უნდა აეღოთ. აქედან აგარის მტს-ის მომსახურებაში მყოფ კოლმეურნეობებს თვითმკვრელებით უნდა აეღოთ 1.100 ჰექტარი. არც ერთი თვითმკვრელი არ მუშაობს და არც იმუშავებს რემონტის ცუდი ხარისხის გამო.

დანაკარგებთან ბრძოლის საქმეშიაც ვერ არის სახარბიელო მდგომარეობა. მართალია, ზოგიერთ კომბაინთან ნახავთ სპეციალურად გამოყოფილ კოლმეურნე-ქალების ჯგუფს, რომელიც დატოვებულ თავთავებს ჰკრეფს, მაგრამ ძლიერ მცირე რაოდენობით. ყოვლად დაუშვებელი ის არის, რომ არსად, სადაც კი მარცვლეულის აღება ხელით ხდება, მომკილ პურს ძნებად არ ჰკრავენ, რაც აშკარად არღვევს სახკომსაბჭოს დადგენილებას და ამრავლებს დანაკარგებს.

— ჩვენმა კოლმეურნეებმა არ იციან როგორ უნდა შეიკრას პური ძნებად—აცხადებს რაიონის უფროსი აგრონომი კ. ხერხეულიძე.

საქმე იმაშია, რომ რაიონის სამიწათმოქმედო ორგანოების კერძოდ, რაიმიწგანის (გამგე ამხ. ს. ცაბაძე) მუშაკები კაბინეტებში არიან გამომწყვდეულნი და არავითარი ცოცხალი კავშირი არა აქვთ ადგილებთან. ფორმალურად გამოყოფილი „მიმაგრებულები" უფრო ხშირი სტუმრები არიან რაიონის მახლობლად მდებარე კურორტებისა, ვიდრე კოლმეურნეობებს.

არავინ უწევს კონტროლს იმას, იცავენ თუ არა კოლმეურნეობები ლეწვის აუცილებელ წესებს ბეღლის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

ბეღლები და საწყობები ხომ სულ დანაგვიანებული შეახვედრეს ახალ მოსავალს და ახლა მთელი აურზაურია—ყველა თავს იმართლებს, ერთი ორგანიზაცია მეორეს აბრალებს ცხვირგრძელასა და ტკიპის დღემდე მოუსპობლობას ბეღლებსა და საწყობებში.

ამას ჰქვია პოლიტიკური უდარდელობა, პარტიულ-პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის შეუთავსებლობა ანუ ის, რაც მუშაობის ბოლშევიკური სტილი არ არის.

გ. გიორგაძე

# სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ ეკონომსაბჭოში

ა. წ. 21 ივლისს ეკონომსაბჭოს მორიგ სხდომაზე ამხ. ვ. მ. მოლოტოვის თავმჯდომარეობით განხილულ იქნა ივანოვოს ოლქის ბამბეულის მთავარსამმართველოს მუშაობის საკითხი.

ეკონომსაბჭომ მოისმინა მთავარსამმართველოს უფროსის ამხ. მიხაილოვის საანგარიშო მოხსენება და თანამოხსენებანი სახელმწიფო საგეგმო კომისიისა და საბჭოთა კონტროლის კომისიისა, რომელთაც შეამოწმეს ამ მთავარსამმართველოს მუშაობა. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ივანოვოს ოლქის ბამბეულის მრეწველობა 1938 წლის პირველ კვარტალში არადამაკმაყოფილებლად მუშაობდა და კვარტალური გეგმა რთვისა შესრულდა 94 პროცენტით, ქსოვისა—89 პროცენტით, გამოყვანისა—89 პროცენტით.

მეორე კვარტალში ივანოვოს ოლქის ბამბეულის მრეწველობის მუშაობა არათუ არ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდეც პირველ კვარტალთან შედარებით. მეორე კვარტალისათვის დაწესებული პროგრამა შემდეგნაირად შესრულდა: რთვისა—92 პროცენტით, ქსოვისა—87 პროცენტით და გამოყვანისა—89 პროცენტით.

ივლისში ადგილი ჰქონდა მუშაობის შემდგომ გაუარესებას. ივლისის პირველი დეკადის განმავლობაში გეგმა შესრულებულია რთვისა — მხოლოდ 87 პროცენტით, ქსოვისა—84 პროცენტით და გამოყვანისა — 86 პროცენტით.

ეკონომიურმა საბჭომ, განიხილა რა ეს საკითხი, არადამაკმაყოფილებლად სცნო ივანოვოს ოლქის ბამბეულის მრეწველობის მთავარსამმართველოს მუშაობა და აღნიშნა, როგორც სრულიად შეუწყნარებელი ფაქტი, რომ მთავარსამმართველო და სახალხო კომისარიატი საჭირო ზომებს არ ღებულობენ ჯეროვანი საწარმოო აღმავლობის უზრუნველსაყოფად ივანოვოს ოლქის ბამბეულის მრეწველობის საწარმოებში.

ეკონომიურმა საბჭომ აღნიშნა, რომ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი და, კერძოდ, სახალხო კომისარი ამხ. შესტაკოვი გართულია დამამშვიდებელი ცნობების მოწოდებით, ნაცვლად იმისა, რომ მიიღოს ჯეროვანი ზომები ივანოვოს ოლქის ბამბეულის მრეწველობის მუშაობის გასაუმჯობესებლად, მთავრობისა და სახალხო კომისარიატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას არა-ფორმალურ-ბიუროკრატიული, არამედ ნამდვილი შემოწმების მოსახდენად და ვერ უზრუნველჰყოფს მუშაკთა სწორ შერჩევას ხელმძღვანელ პოსტებზე მრეწველობის ამ დარგში.

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს თავისი კოლეგიის სხდომაზე განიხილოს ივანოვოს ოლქის ბამბეულის მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი და თავისი წინადადებანი წარადგინოს ეკონომიურ საბჭოში.

მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიას წინადადება მიეცა, რათა წინადადებათა შემუშავების დროს გაითვალისწინოს საბჭოთა კონტროლის კომისიისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ ეკონომიურ საბჭოში წარმოდგენილი დასკვნები ივანოვოს ოლქის ბამბეულის მრეწველობის მთავარსამმართველოს მუშაობის შესახებ.

რათა დაწვრილებით და კონკრეტულად იქნას შესწავლილი ივანოვოს ოლქის ბამბეულის საწარმოებში გაცდენების საკითხი, აგრეთვე მუშა-ქალების ერთი სამუშაოდან მეორეზე ხშირად გადაყვანის საკითხი, ეკონომიურმა საბჭომ შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაავალა გაჰგზავნოს ადგილებზე მთელი რიგი ბრიგადები.

გარდა ამისა, ეკონომსაბჭომ დაავალა ვაჭრობის სახალხო კომისარიატს პარტიის ივანოვოს საოლქო კომიტეტთან და ივანოვოს ოლქის ბამბეულის მრეწველობის მუშათა კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად განიხილოს იმ სასადილოთა მუშაობის გაუმჯობესების საკითხი, რომლებიც მომსახურებას უწევენ ივანოვოს ოლქის ბამბეულის საწარმოთა მუშებს.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა საბჭოთა კონტროლის კომისიისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის ინფორმაცია ეკონომსაბჭოს მიერ წინათ მიღებული დადგენილების შესრულების შესახებ—ბამბეულის ფაბრიკებში 1938 წელს ახალი სართავი მოწყობილობის დადგმის თაობაზე.

ეკონომსაბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ბამბეულის ფაბრიკებში უნდა დაედგათ 176 ათასი ახალი სართავი და საგრეხი თითისტარი.

მომხდარი შემოწმებით გამოირკვა, რომ ეს გეგმა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს მხოლოდ 66 პროცენტით შეუსრულებია. ამასთანავე მონტაჟის გაჭიანურებისა და ცუდი ხარისხის გამო ამუშავებულია მხოლოდ 44 პროცენტი იმ გეგმისა, რაც დაწესებული იყო წლის პირველი ნახევრისათვის.

ჩატარებულმა შემოწმებამ აგრეთვე გამოარკვია, რომ ახალი თითისტარების დადგმის გეგმის შეუსრულებლობასთან ერთად ადგილი აქვს სავატერო თითისტართა გადაჭრისა და მიულების წუნდების დაუშვებელ შემთხვევებს, რაც ბამბეულის ფაბრიკების საწარმოო სიმძლავრეს ამცირებს. ასე, მაგალითად, მოსკოვის ოლქის ბამბეულის მრეწველობის მარტო პირველი მთავარსამმართველოს ფაბრიკებში წლის პირველი ნახევრის განმავლობაში მოხსნილი იყო 36 ათასი მიულის თითისტარი და გადაჭრილი იყო 1.400 სავატერო თითისტარი.

ეკონომსაბჭომ წინადადება მისცა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს განიხილოს საკითხი წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ახალი სართავი მოწყობილების დადგმის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ და სათანადო წინადადებები მისცეს ამ საქმის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე წლის პირველი ნახევრის დაუდევრობათა სალიკვიდაციოდ და მთავრობის მთელი წლიური დავალების შესრულების უზრუნველსაყოფად — 1938 წელს ბამბეულის ფაბრიკებში ახალი მოწყობილობის დადგმის თაობაზე.

ეკონომსაბჭომ აუკრძალა მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ეკონომსაბჭოს სპეციალური გადაწყვეტილების გამოუტანელად აწარმოოს მიულების წუნდება და სავატერო თითისტართა გადაჭრა.

ეკონომსაბჭომ ამავე სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება, რათა აგვისტოში გაგრძელდეს ეკონომსაბჭოს მიერ 20 მაისს დადგენილი წესი ელექტროენერგიის ხარჯვისა ქალ. მოსკოვის ქუჩების გასანათებლად, წესი, რომლის თანახმადაც სახლთმმართველობებმა სახლის ნომრის ნათურები უნდა ჩააქრონ ნათელ ღამეებში ღამის 2 საათზე, ბნელ ღამეებში კი — დილის 3 საათზე, ხოლო სარეკლამო განათება უნდა შესწყდეს ღამის 12 საათზე. მოსკოვის საბჭოს წინადადება მიეცა შეიმუშაოს და ეკონომსაბჭოში წარადგინოს თავისი წინადადებანი ქალაქ მოსკოვის განათების საჭიროებაზე შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის შესახებ.

ეკონომსაბჭომ ივლისსა და აგვისტოზე გაავრცელა ეკონომსაბჭოს მიერ დადგენილი წესი ქალ. მოსკოვის ქუჩების ელექტროგანათებისა შემდეგ ქალაქებზე: ლენინგრადი, სვერდლოვსკი, ხარკოვი, კიევი, ბაქო და თბილისი. აღნიშნული ქალაქების საქალაქო საბჭოებს წინადადება მიეცათ თვალყური ადევნონ ეკონომსაბჭოს ამ დადგენილების შესრულებას. ამავე ქალაქის საბჭოებს წინადადება მიეცათ წარადგინონ ეკონომსაბჭოში თავიანთი წინადადებანი აღნიშნული ქალაქების ქუჩების გასაშუქებლად ელექტროენერგიის ეკონომიური ხარჯვის შესახებ შემოდგომისა და ზამთრის პერიოდში.

იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილდეს ადგილობრივი მშენებლობის მზარდი საჭიროება ცემენტზე და შემცირდეს ცემენტის გადატან-გადმოტანის რადიუსი, ეკონომიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აგებულ იქნას ცემენტის პატარა ქარხნები ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში.

ეკონომიურმა საბჭომ წინადადება მისცა რსფსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის პირველი სექტემბრისათვის დაამთავროს წლიურად 10-15-20-30 ათასი ტონა ცემენტის სიმძლავრის ცემენტის ქარხნებისა და 20 ათასი ტონა სიმძლავრის კირ-წიდის საფქვავი დანადგარების ტიპობრივი სამშენებლო პროექტების დამუშავება.

გარდა ამისა, რსფსრ სახკომსაბჭოს წინადადება მიეცა ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა 1939 წელს განზრახული მშენებლობისათვის: საფქვავი დანადგარებისა კირწიდის ცემენტის საწარმოებლად სვერდლოვსკსა, ჩელიაბინსკსა და ორსკში, 20 ათასი ტონა სიმძლავრისა თითო; ანჰიდრიდცემენტის ქარხნებისა არხანგელსკის ოლქში და ბაშკირეთის ასს რესპუბლიკაში, 15 ათასი ტონა სიმძლავრისა თითო, აგრეთვე პორტლანდ-ცემენტის ქარხნებისა ჩუვაშეთის ასს რესპუბლიკაში, 10 ათასი ტონა სიმძლავრისა, და კიროვის ოლქში —30 ათასი ტონა სიმძლავრისა.

თურქმენეთის სსრ სახკომსაბჭომ 1938 წელს უნდა ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა იმისათვის, რათა 1939 წელს აგებულ იქნას ცემენტის ქარხანა 30 ათასი ტონა სიმძლავრისა ბეზმეინსკის საბადოზე.

ყაზახეთის სსრ სახკომსაბჭომ 1938 წელს უნდა დაამთავროს ნოვო-ტაუბინსკის საბადოს გეოლოგიური გამოკვლევა და მისი ნედლეული მარაგის გამორკვევა იმისათვის, რომ 1939 წელს აგებულ იქნას ცემენტის ქარხანა 30 ათასი ტონა სიმძლავრისა.

ყირგიზეთის სსრ სახკომსაბჭომ 1938 წელს და 1939 წლის პირველ ნახევარში უნდა ჩაატაროს გეოლოგიურ-ძიებითი მუშაობა, რათა მოამზადოს 15 ათასი ტონა სიმძლავრის ცემენტის ქარხნის მშენებლობა.

(საკდესი).

◆

# 30 ივლისი-რკინიგზელთა სრულიად-საკავშირო დღეა

## სტახანოველ-კრივონოსელთა რეკორდები

### ხილით დატვირთული საესტაფეტო მატარებელი

23 ივლისს, ნავთლუღიდან მოსკოვის მიმართულებით გავიდა საესტაფეტო მატარებელი, რომელსაც თან მიაქვს ხილი წითელი დედაქალაქის მშრომელებისათვის.

წარჩინებულმა კრივონოსელმა რკინიგზელმა, თბილისის დეპოს მემანქანემ ამხ. ობოლაშვილმა, მიიღო რა ნავთლუღში 900 ტონიანი წონის მატარებელი, 7 საათსა და 20 წუთში ჩაიყვანა იგი თბილისის განყოფილების უკანასკნელ პუნქტში— სადგ. აქსტაფაში, ე. ი. განრიგებით დაწესებულ დროზე 58 წუთით ადრე, რითაც მიაღწია 51,1 კლმ. ტექნიკურ სისწრაფეს, ნორმით გათვალისწინებულ 39,4 კლმ. ნაცვლად.

კიროვაბადის მემანქანეებმა, რომლებიც ეჯიბრებიან თბილისის მემანქანეებს ესტაფეტის უკეთესად ჩატარებაში, აგრეთვე ოსტატობა გამოიჩინეს მატარებლის წაყვანაში. კიროვაბადში საესტაფეტო მატარებელი განრიგებით დაწესებულ დროზე 2 საათით ადრე ჩაიყვანეს.

### 1184 პროცენტი

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სტახანოველმა შემდუღებელმა, საპატიო რკინიგზელმა, ნიშნოსანმა ამხ. ნადირაძემ 23 ივლისს, ორთქლმავლის ცილინდრების შედუღებაზე მუშაობის დროს, ნორმა 1184 პროცენტით შეასრულა. ამ დღეს მან 343 მან. გამოიმუშავა. თავისი რეკორდი ამხ. ნადირაძემ მიუძღვნა რკინიგზელთა სრულიად-საკავშირო დღეს.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის საქონლის ვაგონების საამქროს მექვაბეთა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ზუბიევი მეთაურობს, იმავე დღეს შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია საქონლის ვაგონების დეტალების მოქლონვაში. ის სამუშაო, რაც ნორმის მიხედვით 80 საათისა და 40 წ. დროს მოითხოვს, ბრიგადამ 10 საათისა და 30 წ. განმავლობაში შეასრულა. ბრიგადის შრომის ნაყოფიერება 768 პროცენტს უდრის. (საქდესი).

# ამიერ-კავკასიის რკინიგზამ შეჯიბრებაში გამოიწვია ორჯონიკიძის რკინიგზა

რკინიგზელთა საკავშირო დღესთან, 30 ივლისთან დაკავშირებით, ხელახლა აზვირთდა სტახანოვურ-კრივონოსული მოძრაობის ახალი ტალღა. ჩვენს სოციალისტურ ტრანსპორტზე, ყველა რკინიგზელი ცდილობს ამ დღესთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაზარდოს შრომის ნაყოფიერება და მოგვცეს მაღალი საწარმოო მაჩვენებლები.

30 ივლისისათვის მზადება ამიერკავკასიის რკინიგზაზედაც ფართოდ გაიშალა. რკინიგზელთა სტალინური დღის უკეთ ჩატარების მიზნით, ამიერ-კავკასიის რკინიგზამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ორჯონიკიძის რკინიგზა. 22 ივლისს მიღებულ იქნა ორჯონიკიძის გზის უფროსის ბეშევისა, გზის უფროსის მოადგილის პოლიტნაწილში —მუდკოვისა და საგზაო პროფკავშირის თავმჯდომარის მოისეენკოს ხელმოწერით დეპეშა ამხანაგების არუთინოვის, სვანიძის და ჯორბენაძის სახელზე, სადაც ისინი გამოსთქვამენ გამოწვევაზე თანხმობას და თავის მხრივ აყენებენ წინადადებას, რომ სოცშეჯიბრება 30 ივლისის შემდეგაც გაგრძელდეს.

ხ. თვალჭრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტიული ცხოვრება

# გამოცდილების გაზიარებით გავაუმჯობესოთ პარტმუშაობა

## მტკიცედ დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება

მარტყოფის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგმა ამხ. ლადო კახურაშვილმა კრება დანიშნულ დროზე გახსნა. პარტიულ ღია კრებას კომუნისტებთან ერთად ესწრებიან აგრეთვე თანამგრძნობები და კომკავშირელები.

მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო კრებას თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება იმ მასალების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებული იყო „კომუნისტის" 22 ივლისის ნომერში.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. პირველი სიტყვა აიღო კომუნისტმა ამხ. ი. ბანეთიშვილმა.

— ჩვენთან — განაცხადა მან — პარტმუშაობის ისეთი უმნიშვნელოვანესი უბანი, როგორიცაა პოლიტსწავლება მეტად ცუდ მდგომარეობაშია; პარტწრის მუშაობა უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ფაქტიურად ჩაშლილია იმის გამო, რომ პროპაგანდისტი არა გვყავს.

შემდეგ გამოვიდა ამხ. ა. ლეკიშვილი, რომელმაც ილაპარაკა თანამგრძნობთა შორის მუშაობის სუსტად დაყენებაზე და მიუთითა, რომ ამის ერთერთი მიზეზია სათანადო გამოცდილების არ ქონება თანამგრძნობებთან მუშაობის საქმეში. ამ მხრივ, — სთქვა მან, — საუკეთესო მაგალითს გვაძლევენ თბილისის მოწინავე — პარტორგანიზაციები, კერძოდ კი წისქვილკომბინატის პარტორგანიზაცია.

საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა თანამგრძნობმა ამხ. შ. ძამაშვილმა.

— პირველ ხანებში, — სთქვა მან, — ჩვენ, თანამგრძნობთა ჯგუფის წევრებმა აქტიურად დავიწყეთ მეცადინეობა პარტწრეში და შედეგებიც კარგი მივიღეთ. ბევრმა თანამგრძნობმა (მაგალითად, შ. ეპიტაშვილმა, ნ. ბანეთიშვილმა, ვ. ფურცელაძემ და სხვ.) ბოლშევიზმის დაუფლებისათვის ბრძოლის შესანიშნავი ნიმუშები გვიჩვენა. მაგრამ ახლა ჩვენ არა თუ ახალს არაფერს ვსწავლობთ, არამედ რაც ვიცოდით იქიდანაც ბევრი რამ დაგვავიწყდა, რადგან პარტწრეში თითქმის 3 თვეა მეცადინეობა არ ჩატარებულა.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. ქ. ზაზუნიშვილი, ადიკაშვილი, კახურაშვილი და სხვ.

კრებამ დაადგინა გაგზავნოს თბილისში ამხანაგები: ლ. კახურაშვილი და დ. კობიაშვილი, რომლებსაც დაევალათ დეტალურად შეისწავლონ თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილება და გადაიტანონ იგი თავიანთ ორგანიზაციაში.

**ვ. ნარინი.**

სოფ. მარტყოფი, 23 ივლისი.

**საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის ინიციატივით თბილისის რაიონის მთელმა რიგმა პირველადმა პარტორგანიზაციებმა 23 ივლისს ჩაატარეს ღია პარტიული კრებები, სადაც გაეცნენ თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას „კომუნისტის" 22 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით.**

**მარტყოფის კარლ მარქსის სახ., ავჭალის ლ. ბერიას სახ. და ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობათა, აგრეთვე ავჭალის ცემენტის ქარხნისა და ქსნის აგურკრამიტის ქარხნის პირველადმა პარტორგანიზაციებმა დაადგინეს გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები თბილისში მოწინავე პარტორგანიზაციათა მუშაობის გამოცდილების დეტალურად გასაცნობად.**

**დღეს ვაქვეყნებთ ზემოაღნიშნულ პარტორგანიზაციათა კრებების ანგარიშებს.**

## მოითხოვეს ადგილზე გაეცნონ მოწინავეთა გამოცდილებებს

ავჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში დიდი ინტერესით გაეცვნენ გაზ. „კომუნისტის" 22 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ მოწინავე პარტორგანიზაციების გამოცდილებებს პარტიულ მუშაობაში.

— ჩვენი პარტიული ორგანიზაცია არ არის ჩამორჩენილი,—ამბობს კოლმეურნეობის პარტორგი ამხ. მ. აბაზოვი,—ამას მოწმობს თუნდაც ის წარმატებანი, რომელნიც ჩვენ გვაქვს სამეურნეო მუშაობის მხრივ. ჩვენმა კოლმეურნეობამ მაღალხარისხოვნად და ვადაზე ადრე აიღო მოსავალი. მესაქონლეობა აღმავლობის გზით მიდის. რძის ჩაბარების წლიური გეგმა ექვს თვეში შევასრულეთ, გვყავნან საუკეთესო სტახანოველი ვაჟები და ქალები, რომლებსაც იცნობენ არა მარტო ჩვენს კოლმეურნეობაში, არამედ მთელ რაიონში. ყოველივე ეს შედეგია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის კარგად დაყენებისა, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლების. მაგრამ მიუხედავად ამისა თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება, რომელსაც ჩვენ გაზ. „კომუნისტის" საშუალებით გავეცანით, ბევრ ახალ საკითხს აყენებს ჩვენი პარტორგანიზაციის წინაშე. თუნდაც ავიღოთ კადრების დაწინაურების საკითხი ამ საქმეში აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის გამოცდილება ჩვენთვის ახალია ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრია შეგვექმნა დასაწინაურებელთა რეზერვი.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს პარტიული ორგანიზაცია აქტივთან. აქტივის გამოზრდის საგულისხმო გამოცდილებაზე მოგვითხრობს თავის წერილში წისქვილკომბინატის პარტკომის მდივანი. ჩვენ ამ გამოცდილებას გამოვიყენებთ.

— პოლიტიკური და სამეურნეო მუშაობის სწორად შეთავსების საქმეში—ამბობს ვ. ბუტიკაშვილი,—26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის გამოცდილების გადმოტანა ჩვენი პარტორგანიზაციის მუშაობაში აუცილებლად დიდ შედეგს მოგვცემს სტახანოვური მოძრაობის გაფართოებისათვის.

— კარგი იქნება, თუ ჩვენი კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია ადგილზე მისვლით დეტალურად გაეცნობა თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებებს,—აცხადებს ზ. ვარდანაშვილი,—განსაკუთრებით საჭიროა შევისწავლოთ საკითხი, როგორ უნდა ვიმუშაოთ დაწინაურებულებთან. მაგალითად, ჩვენ დავაწინაურეთ კოლმეურნეები ბრიგადირებად. ბევრი მათგანი ძალიან კარგად მუშაობს, გეგმას გადაჭარბებით ასრულებს, მაგრამ ზოგიერთმა არ იცის ბრიგადირის მოვალეობა. გვყავნან ისეთი ბრიგადირები, რომლებიც ვერ დაუფლებიან შრომადღეების გრაფიკის შედგენას. ამავე კრებაზე შეარჩიეს ხუთი მოწინავე ამხანაგი ქალაქში გასაგზავნად. ისინი ჩამოვლენ თბილისში, დაათვალიერებენ ქარხნებს, ფაბრიკებს, გამართავენ საუბრებს იმ მოწინავე პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, რომელთა გამოცდილების შესახებ 22 ივლისის გაზ. „კომუნისტში" წაიკითხეს. მათ განზრახული აქვთ აგრეთვე დაათვალიერონ ლენინის მუზეუმის ფილიალი თბილისში, ნახონ ავლაბრის არალეგალური სტამბა და გაეცნონ ლ. კეცხოველის სახელობის აგიტაციისა და პროპაგანდის სახლის მუშაობას.

**ალ. გვინჩიძე.**

## ბევრი რამ შევიძინეთ

გაზ. „კომუნისტის" 22 ივლისის ნომერი, რომელშიაც დაბეჭდილია თბილისის მოწინავე პარტიულ ორგანიზაციათა პარტკომების მდივნების წერილები თავიანთი მუშაობის გამოცდილების შესახებ, ქსნის აგურკრამიტის ქარხნის კომუნისტებმა და კომკავშირელებმა საფუძვლიანად გაიცნეს და მოიწონეს.

23 ივლისს, შესვენების დროს აგიტატორებმა საამქროებში წაიკითხეს ეს წერილები. კომუნისტები ისე დაინტერესდნენ, რომ ხელმეორედ სათითაოდ კითხულობდნენ ამ მასალებს. საღამოს 5 საათზე მოწვეულ იქნა ღია პარტიული კრება. კრების დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხი იყო: „თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილების გაცნობა და ამ გამოცდილების დანერგვა ჩვენს პარტორგანიზაციაში". მოკლე მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მიხ. როსტიაშვილმა, ვ. ხატელაშვილმა, ალ. კბილაშვილმა, ვ. შარიკაშვილმა და სხვ.

— საინტერესოა, — ამბობს ამხ. როსტიაშვილი, — 26 კომისრის სახელობის ქარხნის პარტორგანიზაციის გამოცდილება პოლიტსწავლების გაუმჯობესების დარგში. სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ამ პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოწყობილა წრეებსა და მსმენელებს შორის, ჩვენც უნდა შემოვიღოთ. მთელი ლიტერატურის წაკითხვა, თემის საუკეთესოდ შეთვისება, კარგი კონსპექტის შედგენა,—აი რა უნდა იყოს ამ შეჯიბრების მთავარი პირობები. აღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმება უნდა მოვახდინოთ ყოველი მეცადინეობის შემდეგ, ისევე, როგორც ამას 26 კომისრის სახელობის პარტკომი აწარმოებს.

— ახალი აქტივის აღზრდისათვის წისქვილკომბინატის პარტიული კომიტეტის მიერ მიღებული ღონისძიებები, — ამბობს ამხ. შარიკაშვილი, ფრიად საინტერესო და აუცილებელია, რომ ჩვენც ასევე ვიმუშაოთ. საჭიროა პოლიტსწავლების ხარისხის გაუმჯობესება თვითეული მსმენელისადმი ინდივიდუალური მიდგომის გზით და კანდიდატთა და თანამგრძნობთა კონფერენციები, დავალებათა მიცემა და შესრულების სისტემატური შემოწმება.

გარდა ამისა, კამათში გამოსული ამხანაგები შეეხნენ სტახანოველებთან მუშაობის, კომუნისტების ავანგარდული როლის, პარტიის რიგების ზრდის, პარტკაბინეტის მოწყობისა და სხვ. საკითხებს.

კრებამ შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებები.

კრების დამთავრებისას პარტკომის მდივანმა ამხ. ა. კბილაშვილმა სთქვა: — ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ, ბევრი რამ შევიძინეთ. ახლა ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ეს შენაძენი გამოვიყენოთ პრაქტიკულ მუშაობაში.

**ბ. ნათელაძე.**

## ვიმუშავებთ საუკეთესოდ

თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციების გამოცდილებათა გადმოტანის მიზნით 23 ივლისს მოწვეული იქნა მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (თბილისის რაიონი) ღია პარტიული კრება. კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. დარსაძემ, რის შემდეგ წაკითხულ იქნა „კომუნისტის" 22 ივლისის ნომერში მოთავსებული წერილები თბილისის ზოგიერთი მოწინავე პარტორგანიზაციის გამოცდილებათა შესახებ. კოლმეურნეობის მოწინავე კომუნისტებს წინადღით წაეკითხათ გაზეთი და კრებაზე მომზადებული მოვიდნენ.

სიტყვაში გამოსულმა კომუნისტებმა ნ. ბაგაშვილმა, კ. ეფრემიძემ, ბ. მიქაიამ, ს. გოგიამ, დ. ენუქიძემ, კ. წულაიამ, ს. ჩარგეიშვილმა, ზ. ალადაშვილმა და ა. ქაჯაიამ ბოლშევიზმის დაუფლებისა და საწარმოო გეგმის წარმატებით შესრულების მიზნით შეჯიბრებაში ერთმანეთი გამოიწვიეს. თანამგრძნობმა კ. ეფრემიძემ იკისრა პარტიული ბიბლიოთეკის შეძენა და ამავე მიზნით შეჯიბრებაში გ. კლარჯეიშვილი გამოიწვია.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ნაკლოვანებებზე, რომელნიც პარტორგანიზაციას აქვს, განსაკუთრებით პარტიის რიგების ზრდაში, თანამგრძნობებთან მუშაობაში და სხვ.

— ჩვენ, როგორც საჭიროა, ისე ვერ ვათავსებთ პარტიულ და სამეურნეო საკითხებს,—ამბობს ამხ. კ. ეფრემიძე,—უმრავლესობას არა აქვს საკუთარი პარტბიბლიოთეკა. ამ მხრივ უნდა გადმოვიღოთ თბილისის 26 კომისრის ქარხნის პარტორგანიზაციის გამოცდილება.

კრებამ თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციების გამოცდილებათა გადმოტანასთან დაკავშირებით საჭიროდ სცნო ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალისა და კეცხოველის სახელობის აგიტატორისა და პროპაგანდისტის სახლის დათვალიერება. გარდა ამისა, მახარაძელები დაათვალიერებენ იმ ფაბრიკა-ქარხნებს, რომელთა პარტკომის მდივნების წერილები იყო გაზეთში მოთავსებული.

კრებამ გამოცდილებათა უმოკლეს დროში გადმოტანის უზრუნველსაყოფად დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

დღეს, 26 ივლისს მახარაძელები დაათვალიერებენ თბილისის წარმოებებს, ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს და კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლს.

**კლ. გოგიავა**

ავჭალის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის აგიტატორი ქალი ქ. ბერიტაშვილი კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის წევრებს, თანამგრძნობებსა და კომკავშირულ აქტივს უკითხავს 22 ივლისის გაზ. „კომუნისტში" გამოქვეყნებულ მასალებს თბილისის მოწინავე პარტორგანიზაციების გამოცდილების შესახებ.

ფოტო რ. აკოფოვისა

## იყენებენ გამოცდილებას

23 ივლისს შესდგა მცხეთის სახერხი ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელსაც ასამდე კაცი დაესწრო.

თბილისის მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების გადატანის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა პარტკომის მდივანი ამხ. ე. ბერიაშვილი.

კამათში გამოვიდნენ: ი. ამირხანაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ა. ჭელიძე, მიხ. ბელიჩი, შ. არეშოვი, შალიბაშვილი, ზოია მოსიაშვილი, შ. გელოვანი ვ. კოროშანიძე, საჯნევა, ვლ. გოგალაძე, ლ. მეხაშვილი, ა. თათარაშვილი, ა. გამრეკლიძე, ფ. ოქონაშვილი, ინჟ. გრ. მაცაბერიძე, ქარხნის დირექტორი ვლ. ვარაზაშვილი და საქ. კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის წარმომადგენელი ამხ. კირკიტაძე. კამათში გამოსულნი ამხელდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და სახავდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს მათ აღმოსაფხვრელად.

გამოირკვა, რომ მცხეთის სახერხი ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში ცუდად არის დაყენებული პოლიტსწავლება. სკოლები დაკომპლექტებულია არასწორად, რის შედეგად შეთვისების ხარისხი დაბალია. სუსტია მეცადინეობაზე დასწრებაც. პარტკომი არ ღებულობს ზომებს იმ პირების წინააღმდეგ, რომელნიც მეცადინეობას აცდენენ. იმ ამხანაგებისათვის, რომელნიც საპატიო მიზეზით აკლდებიან მეცადინეობას, არ ეწყობა დამატებითი მეცადინეობა, არ სწარმოებს მუშაობა ახლად მიღებულ პარტწევრობის კანდიდატებთან, თანამგრძნობებთან და სხვ.

ამხანაგები ლაპარაკობდნენ მთელ რიგ დეფექტებზე, რომლებიც ხელს უშლიან სტახანოვურ მოძრაობის შემდგომ გაშლას. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი ნედლეულით დროულად არ ამარაგებს და ამიტომ ქარხანას გაცდენის შემთხვევები აქვს; მოუწესრიგებელია სახერხი დაზგების მუშაობაც, დამზადებული მასალის დახარისხება სწორად არ ხდება, რის გამო ხელი ეშლება მტვირთავთა ბრიგადას. ტექმინიმუმის წრეები არსებობენ ფორმალურად, ცუდია მუშა-მოსამსახურეთა კულტმომსახურებაც.

გაზ. „კომუნისტის" ინიციატივამ მოწინავე პარტორგანიზაციათა გამოცდილების გადატანისათვის მცხეთის სახერხი ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის წევრების ცხოველი გამოხმაურება გამოიწვია. კრებამ გამოჰყო ოთხი კაცი, რომელთაც დაევალათ გაემგზავრონ თბილისში მოწინავე ორგანიზაციების გამოცდილებათა ადგილზე შესასწავლად.

**ოთ. ეგაძე**

ა. ქუთელია

# კ. მარქსი და ფ. ენგელსი და რუსული ენა

> „რუსული ენის ცოდნა,—ენისა, რომელიც ყოველმხრივ ღირსია შესწავლისა, როგორც თავისთავად, ვინაიდან ეს ერთერთი ყველაზე ძლიერი და ყველაზე მდიდარი ცოცხალი ენაა, ისე ამ ენაზე არსებული ლიტერატურისათვის..."
>
> (ენგელსი. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტ. XV, გვ. 239. 1935 წ.).

დიდი რუსეთი, მისი ეკონომიური განვითარება, პოლიტიკური ცხოვრება და კულტურა ყოველთვის იზიდავდა მარქსისა და ენგელსის ყურადღებას. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებისათვის იგი უდიდეს პოლიტიკურ და თეორიულ ინტერესს წარმოადგენდა. ეს მუდმივი დიდი ინტერესი დროთა განმავლობაში იმდენად გაიზარდა, რომ მარქსისათვის სრულიად აუცილებელი გახდა რუსული ენის შესწავლა.

კ. მარქსმა რუსული ენის შესწავლას ხელი მოჰკიდა 1869 წლის დამლევს. ეს იყო პერიოდი გაძლიერებული მუშაობისა „კაპიტალის" II ტომზე, რომელშიც, ავტორის განზრახვით, გარჩეული უნდა ყოფილიყო აგრეთვე საადგილმამულო ურთიერთობის საკითხები. ამ უკანასკნელმა გარემოებამ, თუ მხედველობაში მივიღებთ მარქსის განსაკუთრებულ მომთხოვნელობას, გამოიწვია აუცილებლობა, როგორც ის თვითონ ამბობს ლ. კუგელმანისადმი მიწერილ წერილში, შეესწავლა „პირველ წყაროებით მიწის საკუთრების რუსეთული ურთიერთობანი" [1]).

რუსული ენის შესწავლის უშუალო საბაბი გახდა ნ. ფლეროვსკის ცნობილი ნაშრომი „მუშათა კლასის მდგომარეობა რუსეთში", რომელიც 1869 წელს პეტერბურგში გამოვიდა და რომელიც იმავე წლის დამლევს მიიღო მარქსმა. აცნობებს რა ენგელსს წიგნის მიღებას, მარქსი აქვე გულისტკივილით ამბობს, რომ იგი 500 გვერდიანია, 15 წლის მუშაობის ნაყოფია და დაწერილია რუსულად [2]). მის სიტყვებში ნათლად მოსჩანს ამ ღრმა შინაარსიანი ნაშრომის დაძლევის წყურვილი. გულისხმიერ ენგელსს არ შეეძლო არ შეემჩნია ეს. ამიტომ მან, რომელმაც კარგად იცოდა თავისი მეგობრის ნიჭი, მისწერა მას, რომ „სამი თვის განმავლობაში შეიძლება რუსულის შესწავლა იმდენად, რომ წაიკითხო ასეთი წიგნი". მაგრამ ენგელსს, რომელმაც აგრეთვე კარგათ იცოდა, რომ მარქსი განსაკუთრებით იყო გადატვირთული და სასწრაფო სამუშაო ჰქონდა არ შეეძლო პირდაპირ ერჩია თავისი მეგობრისათვის დაეწყო რუსული ენის შესწავლა და ამის გამო იმავე წერილში სწერდა: „მაგრამ შენ ხომ ამისთვის ახლა დრო არა გაქვს". იგი ურჩევდა —დახმარებისათვის სხვას მიმართეო. [3])

თეორიული და პოლიტიკური ინტერესები ორგანიულად მოითხოვდნენ რუსული ენის შესწავლას, რუსეთის ეკონომიკის უფრო ღრმად შესწავლას. მარქსს აგრეთვე უნდოდა ახლოს გასცნობოდა რევოლუციური რუსეთის თეორიული და პოლიტიკური აზრის წარმომადგენლებს. ზიგფრიდ მეიერისადმი 1871 წლის 21 იანვარს მიწერილ წერილში რუსული ენის შესწავლის მიზეზად, გარდა ფლეროვსკის შრომისა, მარქსი ასახელებს აგრეთვე სურვილს გაეცნოს ნ. ჩერნიშევსკის ეკონომიურ თხზულებებს, რომლებსაც იგი აქ საუცხოოს უწოდებს. [4])

ამიტომ მარქსი აღარ მოერიდა არაფერს და თვითონ უშუალოდ ჩაუჯდა ამ ენას.

პირველი რუსული წიგნი, რომელიც მარქსმა ორიგინალში წაიკითხა, როგორც სჩანს, იყო ა. გერცენის ნაწარმოები „საპყრობილეები და გადასახლებანი". ეს სჩანს მისი წარწერიდან ამ წიგნზე და ენგელსისადმი 1870 წლის 22 იანვარს მიწერილი წერილიდან, სადაც იგი სხვათაშორის სწერდა: „მაშ ასე, გერცენი მოკვდა. სწორედ იმ დროს, როდესაც მე დავამთავრე თავი „საპყრობილე და სხვ." [5]) გერცენის წიგნი, რომელიც წაიკითხა ენგელსმაც რუსული ენის შესწავლის დაწყებისას წაკითხულ პირველ წიგნთა შორის და რომელსაც კიდეებზე გამოტანილი ჰქონდა გაუგებარ სიტყვათა ახსნა, უნდა ვიფიქროთ, რომ მარქსს გაუგზავნა მისმა მეგობარმა, რათა გაეადვილებინა მისთვის პირველი კითხვა. გერცენის წიგნში არის შენიშვნები, უცნობ სიტყვათა თარგმანები, რომლებიც ეკუთვნის როგორც ენგელსს, ისე მარქსს.

„...უცნობ სიტყვას რომ შეხვდებოდა, მარქსი მოუწერდა მას ციფრს და ამ სიტყვის მნიშვნელობას სწერდა აქვე კიდეებზე გერმანულად სათანადო ციფრების ქვეშ. ამით იგი აღწევდა ეკონომიას სიტყვების ცალკე რვეულში ამოწერის მხრივ და, გარდა ამისა, მეორედ გადასინჯვის დროს ადვილი იყო ფრაზის საერთო აგებულებაში მიხვედრა და დახსომება თვითეული ამოწერილი სიტყვის აზრისა. ასეთი წესის გამო ბევრი რუსული წიგნი, რომლებიც მარქსმა წაიკითხა, კიდეებზე აჭრელებული იყო ამოწერილი სიტყვების ხშირი ქსელით. ფლეროვსკის სქელტანიანი წიგნი თავიდან ბოლომდე ასე იყო დამუშავებული მარქსის მიერ. მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, მარქსი საერთოდ დიდი ხალისით აკეთებდა კიდეებზე შენიშვნებს წაკითხულის დედააზრის შესახებ, ამასთან მაგონდება, რომ ამ შენიშვნებს ხშირად მეტისმეტად მკაცრი და გესლიანი ხასიათი ჰქონდათ. მე უკვე მაშინ მივაქციე ყურადღება იმ წიგნების თავისებურებას, რომლებითაც მარქსი სარგებლობდა,—სჩანდა, რომ წიგნებს, რომლებზედაც მარქსი მუშაობდა, იგი არ უფრთხილდებოდა, სტოვებდა მათზე თავისი მუშაობის მტკიცე ბეჭედს. მარქსის ისტორიკოსისათვის წიგნების კიდეებზე გაკეთებული ეს შენიშვნები, რომლებიც მეტისმეტად ფართოა, დიდ ინტერესს უნდა წარმოადგენდეს". [6])

გერცენის შემდეგ მარქსი, როგორც სჩანს, შეუდგა ფლეროვსკის ნაშრომის შესწავლას. მან გასაოცარი სისწრაფით მიაღწია წარმატებას. უკვე 1870 წლის 19 იანვარს ენგელსი ულოცავს მას. იმავე წლის 10 თებერვლისათვის მარქსმა დაამუშავა ფლეროვსკის წიგნის 150 გვერდი, მიძღვნილი ციმბირის, ჩრდილოეთ რუსეთისა და ასტრახანისადმი, გამოსთქვა მათ შესახებ თავისი აზრი და აქვე, ენგელსისადმი წერილში რუსულად მოიყვანა შემდეგი ადგილი ფლეროვსკის წიგნიდან: „У нас пролетариев мало, но зато масса нашего рабочего класса состоит из работников, которых участь хуже, чем участь всякого пролетария". [7])

ამრიგად, მარქსი რაღაც 3-4 თვის განმავლობაში დაეუფლა რუსულ ენას. 1870 წლიდან იგი თავისუფლად კითხულობდა როგორც სამეცნიერო-ეკონომიურ, ისე მხატვრულ ლიტერატურას, ხოლო ამ უკანასკნელის რიცხვიდან მის ისეთ ძეგლებს, როგორიცაა „ამბავი იგორის ლაშქრობისა", გენიალური პუშკინის და სალტიკოვ-შჩედრინის თხზულებები.

ენგელსმა რუსული ენის შესწავლა დაიწყო მარქსზე ადრე—1844-1845 წლებში, ყირიმის ომთან დაკავშირებით. მაგრამ, სხვა სახის სამუშაოებით მეტისმეტი დატვირთულობის გამო, იმ დროისათვის, როდესაც მარქსმა დაიწყო რუსული ენის შესწავლა და დაეუფლა მას, ენგელსს საკმაოდ დავიწყებული ჰქონდა ეს ენა, რომელსაც იგი მუდამ აღტაცებაში მოჰყავდა როგორც ამას თვითვე ამბობს მარქსისათვის 1870 წლის 19 იანვარს გაგზავნილ წერილში, ხოლო მანამდე — 1869 წლის 23 და 24 ოქტომბერს. ენგელსის ცოდნა განახლებასა და გაღრმავებას მოითხოვდა. და ამას იგი შეუდგა 70-იანი წლების ნახევრიდან „ემიგრაციული ლიტერატურის შესახებ" სტატიებზე მუშაობასთან დაკავშირებით.

ამ სტატიაში ამბობს იგი იმ სიტყვებს, რომლებიც ჩვენ ეპიგრამად ავიღეთ. ხოლო ვერა ზასულიჩისათვის 1884 წლის 6 მარტს გაგზავნილ წერილში იგი, რუსული ენით აღტაცებული, სწერდა: „რა ლამაზია რუსული ენა: მას აქვს გერმანულის ყველა უპირატესობა, მისი საშინელი სიტლანქე კი არა". [8])

მარქსისა და ენგელსის მიერ რუსული ენის შესწავლის ამბავი გაიგეს როგორც მათმა ნაცნობმა რუსმა მეგობრებმა, ისე ბევრმა სხვამ, რომლებსაც ისინი პირადად არ იცნობდნენ. ერთიც და მეორეც უხვად უგზავნიდნენ მათ წიგნებს და პერიოდიკას. მათ განსაკუთრებით გულმოდგინედ ამარაგებდნენ ნ. დანიელსონი, პ. ლავროვი, გ. ლოპატინი, უტკინი და მ. კოვალევსკი. ასე, მაგალითად, მარქსი 1871 წლის 13 ივნისს წერილით მადლობას უხდის დანიელსონს სხვადასხვა რუსული წიგნების გაგზავნისათვის. აღნიშნავს რა აქვე, რომ „ჯ. სტ. მილის შესახებ შენიშვნა" მას აქვს, სთხოვს გაუგზავნოს ჩერნიშევსკის დანარჩენი ეკონომიური თხზულებები [9]). ხოლო 1872 წლის 12 დეკემბერს იგი აცნობებს დანიელსონს: „მე ძალიან მინდა ვნახო კიეველი პროფესორის ზიბერის წიგნი ღირებულებასა და კაპიტალზე რიკარდოს და სხვათა მოძღვრების შესახებ, რომელშიც ლაპარაკია აგრეთვე ჩემს წიგნზეც". და იქვე დასძენს: „კაპიტალის" მეორე ტომში, მიწის საკუთრების განყოფილებაში, მე განზრახვა მაქვს ძლიერ დაწვრილებით განვიხილო მისი რუსული ფორმა.

კიდევ ერთი. მე მინდა დავბეჭდო რამე ჩერნიშევსკის ცხოვრების, პიროვნების და სხვ. შესახებ, რათა გამოვიწვიო მისდამი თანაგრძნობა დასავლეთში, მაგრამ ამისათვის მჭირდება ფაქტიური ცნობები. [10])

თავაზიანი დანიელსონი მალე გადაჭარბებით ასრულებს მარქსის თხოვნას. მარქსი 1873 წლის 13 იანვარს სწერს: „თქვენს წერილთან ერთად მივიღე ზიბერი, გოლოვაჩოვი და სკრებნიცკის ხუთი ტომი. სწორედ მოგახსენოთ, მრცხვენია, რომ ჩემი გულისთვის ასე დიდ ხარჯს ეწევით. გულითადი მადლობა!".

12 აგვისტოს მარქსი კვლავ უცხადებს მას მადლობას წიგნების ძვირფასი კოლექციისათვის. [11])

პეტერბურგელი მეგობრები ოფიციალურ მასალებთან ერთად მარქსს აწვდიდნენ არაოფიციალურ მასალებსაც, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ვიწრო წრისათვის. [12])

რუსული ენის შესწავლამ და მასზე დაწერილი მდიდარი მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის გაცნობამ მარქსს სრული ეკვივალენტი მისცა. „შედეგი ღირს იმ ძალღონედ, — სწერდა მარქსი აღნიშნულ წერილში ზ. მეიერს, — რომელიც უნდა დახარჯოს ჩემი ხნოვანების ადამიანმა იმ ენის შესწავლაზე, რომელიც ესოდენ ძლიერ განსხვავდება კლასიკური, გერმანული და რომანული ენებისაგან".

რუსეთის ყოველმხრივ შესწავლის შედეგად მარქსი და ენგელსი იყვნენ ღრმა მცოდნე და მაღალი შემფასებლები მისი ისტორიისა, ენისა და ლიტერატურისა და რევოლუციური თეორიის კრიტიკულ-თავდადებული ძიებისა, რევოლუციური გაქანებისა.

„მე ვფიქრობ,—სწერდა ენგელსი 1884 წ. 22 ივნისს ე. პაპრიცს, — რომ თქვენ არა ხართ სამართლიანი თქვენი თანამემამულეების მიმართ. ჩვენ ორივე, მარქსიც და მეც, მათზე ცუდს ვერაფერს ვიტყვით. თუ ზოგიერთი სკოლა განირჩეოდა კიდეც უფრო თავისი რევოლუციური მგზნებარებით, ვიდრე მეცნიერული გამოკვლევით, თუ იყო და არის სხვადასხვა ქანაობა, მეორე მხრით იყო კრიტიკული აზრიც და წმინდა თეორიის თავდადებული ძიებაც, რაც შეჰფერის ხალხს, რომელმაც მოგვცა დობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი. მე ვლაპარაკობ არა მარტო აქტიურ რევოლუციურ სოციალისტებზე, არამედ ისტორიულ და კრიტიკულ სკოლაზეც რუსულ ლიტერატურაში, რომელიც უსასრულოდ უფრო მაღლა დგას ყოველივე იმაზე, რაც გერმანიაში და საფრანგეთში შექმნილია ოფიციალური ისტორიული მეცნიერების მიერ. და პრაქტიკოს რევოლუციონერთა შორისაც კი ჩვენი იდეები და ეკონომიური მეცნიერება, რომელიც მარქსმა ძირფესვიანად გადაამუშავა, ყოველთვის ხვდებოდა გაგებასა და სიმპატიას". [13])

მარქსი და ენგელსი, რომლებიც განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდნენ თვალს რევოლუციური მოძრაობის ზრდას რუსეთში, 70-იან წლებში მივიდნენ იმ წინასწარმეტყველურ დასკვნამდე, რომ რევოლუციური მოძრაობის ცენტრი გადავიდოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთში, პირველ რიგში რუსეთში. „იმედი უნდა ვიქონიოთ,—სწერდა მარქსი ენგელსს ჯერ კიდევ 1863 წ. 13 თებერვალს,—რომ ამჯერად ლავა დაიძვრის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და არა პირიქით...". [14]) ამ შეხედულებას იზიარებდა და იცავდა ენგელსი თავისი სიცოცხლის დასასრულამდე.

მარქსისა და ენგელსის განჭვრეტა ისტორიამ მთლიანად დაადასტურა. რევოლუცია მოვიდა აღმოსავლეთიდან, რუსეთიდან. დიდმა და გმირმა რუსმა ხალხმა, მისმა მოწინავე კლასმა — „მსოფლიოში ყველაზე რევოლუციურმა პროლეტარიატმა" (სტალინი) გენიოსების **ლენინისა და სტალინის** ხელმძღვანელობით, საშინაო და საერთაშორისო იმპერიალიზმთან გამძაფრებულ ბრძოლაში გაარღვიეს იმპერიალიზმის სისტემა და დაამყარეს მუშათა კლასის დიქტატურა და ამით დაიწყეს ახალი ხანა კაცობრიობის ისტორიაში, დასაწყისი, მისცეს მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციას.

რუსეთი გადაიქცა ლენინიზმის — იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მარქსიზმის კერად.

ჩვენი პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ დიდი რუსი ხალხის მძლავრი ენის შესწავლას.

რუსული ენის დაუფლება კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს ძმურ კავშირს სსრ კავშირის ხალხებთან და გაამდიდრებს ჩვენს განუწყვეტლივ მზარდ ნაციონალურ კულტურას.

ქართველი ხალხის მოსისხლე მტრები — პირსისხლიანი ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებიც სახალხო განათლების ორგანოებში მოქმედებდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა ჩაეშალათ რუსული ენისა და რუსული ლიტერატურის სწავლება. მაგრამ მათ დანაშაულზე წაასწრეს და ხალხის ნებასურვილით ისინი განადგურებულ იქნენ.

ამხანაგმა **ლ. პ. ბერიამ** თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მუშაობის შესახებ, შეჩერდა რა რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხზე, სთქვა: „ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რათა საშუალო სკოლის კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეს შეეძლოს შედარებით თავისუფლად ლაპარაკი, კითხვა და წერა რუსულ ენაზე, შეეძლოს რუსული კულტურის უმდიდრესი საგანძურით სარგებლობა". ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულება სახალხო განათლების ორგანოების პირველი რიგის საქმეს წარმოადგენს. პარტიულმა ორგანიზაციებმა მათ ყოველდღიური დახმარება უნდა გაუწიონ.

◆

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზულებანი, ტ. XXVI, გვ. 59. 1935 წელი.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. XXIV, გვ. 239. 1931 წელი.

[3] იქვე. გვ. 240.

[4] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. XXVI, გვ. 87.

[5] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. XXIV, გვ. 281. სიტყვა „ТЮРЬМА" (საპყრობილე) მარქსის მიერ ტექსტში დაწერილია რუსულად.

[6] იხ. პუბლიკაცია რუსული წიგნების შესახებ მარქსისა და ენგელსის ბიბლიოთეკაში „მარქსისა და ენგელსის არქივში" წ. მე-4, 1929 წელი. გვ. 357 და 369.

[7] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. XXIV, გვ. 286-287.

[8] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. XXVII, გვ. 362.

[9] იქვე. ტ. XXVI, გვ. 122.

[10] იქვე. გვ. 306.

[11] იქვე. გვ. 451.

[12] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. XXVII, გვ. 389.

[13] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. თხზ. ტ. XXVII, გვ. 389.

[14] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. „წერილები", გვ. 129, 1931 წ.

# ესპანეთის ფრონტებზე

### ლევანტის ფრონტი

ესპანეთის ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს 23 ივლისის ოფიციალური ცნობის თანახმად, ბარაკასის სამხრეთით მდებარე სექტორში ბრძოლა მთელ დღეს გრძელდებოდა. ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ რესპუბლიკის ჯარის ნაწილებმა ენერგიულად უკუაგდეს მოწინააღმდეგე. მტერმა უკან დაიხია, ამასთან მას დიდი ზარალი მოუვიდა.

ინტერვენტების ძალები განაგრძობდნენ შეტევას ესტრემადურის უბნის ყველა სექტორში, განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლა იყო მანტერუბიოს, ვალესკვილოს და მადრიგალეხოს რაიონებში. მოწინააღმდეგემ შესძლო მდინარე გვადიანას გადალახვა. მეამბოხეები და ინტერვენტები გაძლიერებით იყენებდნენ ავიაციას, რომელმაც ყუმბარები დაუშინა, კერძოდ, სოფელ კასტუერას, სადაც მრავალი მსხვერპლია. ესტრემადურის გზის რაიონში რესპუბლიკელებმა ააფეთქეს მოწინააღმდეგის გამაგრებული პუნქტი.

სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

### ავიაციის მოქმედება

საჰაერო ბრძოლის დროს, რომელიც 23 ივლისს მოხდა ლევანტის ფრონტზე, რესპუბლიკის ავიაციამ ჩამოაგდო იტალიის 8 თვითმფრინავი „ფიატი“. რესპუბლიკელებმა დაჰკარგეს 3 ავიაგამანადგურებელი.

იმავე დღეს ინტერვენტების თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ვალენსიის, განდიის, დენიის ზღვისპირა უბნებს და ზოგიერთ სხვა მეორეხარისხოვან პუნქტს. 23 ივლისს, როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, ინტერვენტებმა დენიას 3-ჯერ დაუშინეს ყუმბარები. თავდასხმებში მონაწილეობდა 14 თვითმფრინავი, რომლებმაც ასამდე ყუმბარა ჩამოჰყარეს. მაგრამ მათ მიერ გამოწვეული ზარალი უმნიშვნელოა — ქალაქში დანგრეულია რამდენიმე სახლი. ადამიანთა მსხვერპლი არ არის.

23 ივლისს იტალიის თვითმფრინავი „ფიატი“ დაეშვა ცენტრალური ფრონტის ერთერთ რესპუბლიკურ აეროდრომზე. იტალიელი მფრინავი ნებაყოფლობით გადმოვიდა რესპუბლიკელთა მხარეს.

## მეამბოხეებსა და ინტერვენტებს დიდი ზარალი მოსდით

**პარიზი**, 24 ივლისი (საკდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ ლევანტის ფრონტზე გუშინ გაჩაღებული ბრძოლის დამახასიათებელია განსაკუთრებით დიდი ზარალი, რაც მოსდით მეამბოხეებს, რომელთაც იერიშები მიაქვთ რესპუბლიკის სიმაგრეთა ხაზზე. მარტო სამი უკანასკნელი დღის განმავლობაში მეამბოხეებმა დაჰკარგეს დაახლოვებით 8 ათასი კაცი.

23 ივლისს, მთელი დღის განმავლობაში, მეამბოხეებსა და ინტერვენტებს გააფთრებული იერიშები მიჰქონდათ რესპუბლიკელებზე. მტერი ცდილობდა გაერღვია რესპუბლიკელთა ფრონტი, რადაც უნდა დასჯდომოდა. აამოქმედეს ავიაცია, არტილერია, ტანკები, ქვეითა ჯარის დიდი ნაწილები, მაგრამ მოწინააღმდეგე ყოველთვის აწყდებოდა რესპუბლიკელთა ძლიერ ცეცხლს, რომელიც სცელავდა მეამბოხეთა რიგებს. უკანასკნელების ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. რესპუბლიკელებმა მიიტანეს მთელი რიგი კონტრიერიშები და ხელთ იგდეს ტყვეები. ყველა ტყვე იტალიელია.

## მეამბოხეება და ინტერვენტებმა უცხოელთა 125 გემი ჩასძირეს

**პარიზი**, 23 ივლისი (საკდესი). ესპანის სააგენტოს მოჰყავს იმ გემების სია, რომელთაც განიცადეს თავდასხმა ესპანეთის მეამბოხეთა და ინტერვენტების მხრივ. სიაში შეტანილია 125-ზე მეტი გემი, მათ რიცხვში 48 ინგლისური, 30-ზე მეტი ესპანური, 9 ფრანგული და სხვ.

## დირქსენის დარბაზობა ჩემბერლენთან

**პარიზი**, 23 ივლისი (საკდესი). გერმანიის ლონდონელი ელჩის დირქსენის ჩემბერლენთან გუშინდელ დარბაზობასთან დაკავშირებით, პარიზელი პრესა იუწყება, რომ თითქოს დირქსენმა წინადადება მისცა ჩემბერლენს მოიწვიოს ოთხი სახელმწიფოს — ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის კონფერენცია — ჩეხოსლოვაკიის პრობლემის განსახილველად. კონფერენცია უნდა შესდგეს ლონდონში.

## საფრანგეთის ბერლინელი ელჩი ფრანსუა პონსე პარიზს გაემგზავრა

**პარიზი**, 23 ივლისი (საკდესი). „ევრი“ იუწყება, რომ საფრანგეთის ბერლინელი ელჩი ფრანსუა პონსე პარიზს გაემგზავრა საგარეო საქმეთა მინისტრ ბონესთან სათათბიროდ. გაზეთის სიტყვით, ამ თათბირის მიზანია განხილულ იქნას ჩეხოსლოვაკიის პრობლემა იმ განცხადებათა თვალსაზრისით, რომლებიც ინგლისის მთავრობას ვიდემანმა და დირქსენმა გაუკეთეს.

## უცხოეთის ქრონიკა

● იაპონელთა 9 ყუმბარმტყორცნი 23 ივლისს ნახევარი საათის განმავლობაში ყუმბარებს უშენდა კანტონს.

● მთელს ჩინეთში, გარდა იაპონიის არმიის მიერ დაკავებულ რაიონებისა, წელს უხვი მოსავალია.

● სტეფანის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ცნობებით უნგრეთის და იტალიის მინისტრთა მოლაპარაკება ერთსულოვნად მიმდინარეობს. იტალია-უნგრეთის პოლიტიკა, სააგენტოს ცნობით, აშენებულია „რომი-ბერლინის ღერძის მიზნებთან ჰარმონიულად“.

● იტალიაში მშრომელთა მასების გაღატაკების ცნობები მოჰყავს გაზეთ „ლავორო დელი იტალიანს“. ფქვილის მოხმარება 117 კილოგრამიდან (1910—1914 წ.) 85 კილოგრამამდე შემცირდა (1934 წ.). ასევე მცირდება სხვა პროდუქტების მოხმარებაც.

## მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიაში

**პრაღა**. 23 ივლისი (საკდესი). (ჩეხოსლოვაკიის პრესაში გამოქვეყნდა ცნობები სუდეტელ-გერმანელთა პარტიის ხელმძღვანელობის საიდუმლო დირექტივის შესახებ, რაც მოწმობს ჰენლაინელების მიერ ახალი დიდი პროვოკაციის მომზადებას სუდეტის ოლქში. სუდეტელ-გერმანელთა პარტიის ხელმძღვანელობა წინადადებას აძლევს ადგილობრივ კომიტეტებს უახლოესი თვის განმავლობაში ჩაატარონ „საცდელი შეკრებები“. 10 აგვისტოსათვის სუდეტის ოლქის ყველა რაიონში ჩატარებულ უნდა იქნას „შეკრებები“ რაიონებისა და ოლქების მასშტაბით. 20-22 აგვისტოსათვის დანიშნულია „შეკრება“ მთელი სუდეტის მხარის მასშტაბით. კომუნისტური და სოციალ - დემოკრატიული გაზეთები კვლავ მოითხოვენ მთავრობისაგან ჰენლაინელთა მოიერიშე რაზმების დაშლას, გადამწყვეტი ზომების მიღებას ჩეხოსლოვაკელი ჰიტლერელების პროვოკაციული მოღვაწეობის შესაწყვეტად.

## ჩეხოსლოვაკიის მთავრობაზე ახალი გაძლიერებული ზეგავლენა

**პრაღა**, 23 ივლისი (საკდესი). გერმანიის ზეგავლენით, ინგლისისა და საფრანგეთის დიპლომატიამ ისევ მიმართა ძლიერ ზეგავლენას ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მიმართ იმ მიზნით, რომ მიაღწიოს მის კაპიტულაციას გერმანიის ფაშიზმისა და ჩეხოსლოვაკიაში მისი აგენტურის წინაშე.

როგორც ავტორიტეტული წყაროებიდან გადმოგვცემენ, ჩემბერლენი დაჟინებით მოითხოვს შემდგომს დათმობებს ჰენლაინელთა მიმართ, მთავრობაში მათი წარმომადგენლების შეყვანასაც კი. აქ სერიოზულ შიშს იწვევს ის ცნობები, რომლებიც გამოქვეყნდა ინგლისისა და ჩეხოსლოვაკიის პრესაში ჩემბერლენის თანხმობის შესახებ ოთხი სახელმწიფოს — ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის კონფერენციის მოწვევის შესახებ (ჩეხოსლოვაკიის მონაწილეობის გარეშე) „სუდეტელ გერმანელთა“ საკითხის განსახილველად.

ბერლინის, ლონდონისა და პარიზის ახალი ზეგავლენის შედეგად ჩეხოსლოვაკიის მთავრობა იძულებულია უარი სთქვას თავის გეგმაზე დააჩქაროს „ეროვნებათა კოდექსის“ გაფორმება და მისი გადაცემა პარლამენტისათვის განსახილველად. უკვე ცნობილია უეჭველად, რომ პარლამენტს მოიწვევენ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დამთავრდება მთავრობისა და ჰენლაინის დელეგაციის მოლაპარაკება, რაც 25 ივლისს განახლდება.

## საომარი მოქმედება ჩინეთში

### ცენტრალურ ჩინეთში

მდინარე იანძის გასწვრივ გაშლილ ფრონტზე იაპონიის ჯარით დატვირთული 10-ზე მეტი კატარღა, 7 სამხედრო გემის თანხლებით, 23 ივლისს ცდილობდა გაჭრილიყო მდინარით ძიუძიანისაკენ. ჩინეთის არტილერიამ ცეცხლი გააჩაღა და ჩასძირა რამდენიმე კატარღა. დანარჩენი გემები უკუქცეულ იქნენ. იაპონელები ხუკოუს რაიონში თავს უყრიან დამხმარე ძალებს მე-6 და მე-9 დივიზიების შემადგენლობიდან.

ანცინის რაიონში 23 ივლისს ჩინეთის ავიაგამანადგურებლებსა და იაპონიის 12 თვითმფრინავს შორის მოხდა ბრძოლა. ბრძოლის შედეგად იაპონიის თვითმფრინავები იძულებული გახდნენ წასულიყვნენ ანძინის მიმართულებით.

უხუს სამხრეთით ჩინეთის ჯარს გაძლიერებული იერიში მიაქვს სიუანჩენზე.

ანხუეის პროვინციის მოსახლეობისაგან შედგენილ 20 ათასიან არმიას განუწყვეტლივ მიაქვს იერიშები ლუჯოუზე.

გაზეთ „შანხაი ივნინგ პოსტის“ ცნობით, ჩინეთის ორი დივიზია გადავიდა იაპონიის ზურგში და განდევნა იაპონელები ფინსიანის მახლობლად მდებარე მთიანი რაიონიდან (შანხაის სამხრეთით). ეს დივიზიები პარტიზანებთან ერთად ემზადებიან საერთო შეტევისათვის შანხაიზე.

### ჩრდილოეთ ჩინეთში

რეიტერის სააგენტოს ბეიპინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ამ ბოლო დროს შანსის პროვინციის ფრონტზე სიწყნარეა.

## განთავისუფლებული არიან ფაშისტური ტყვეობიდან

**პარიზი**, 23 ივლისი (საკდესი). სსრ კავშირის მთავრობის მიერ მიღებული ზომებით ფაშისტური ტყვეობიდან განთავისუფლებულია გემ „სმიდოვიჩის“ ეკიპაჟის რვა წევრი, რომლებიც ესპანეთის მეამბოხეთა ჯურღმულებში იმყოფებოდნენ. დღეს, დილის 11 საათზე, 8 საბჭოთა მეზღვაური ამხ. დ. გ. არსენტიევი, ნ. გ. რომანოვი, ე. ფ. რუშნიკოვი, ნ. ა. ქმუტოვი, დ. ნ. კანაშენკო, ფ. გ. პერევოზნიკოვი, პ. პ. კოტმაროვი, ა. ი. ალფეროვი გადავიდნენ მოსაზღვრე პუნქტში—ანდაიში საფრანგეთის ტერიტორიაზე, სადაც მათ შეხვდნენ სსრ კავშირის პარიზში არსებული სავაჭრო წარმომადგენლობის წარმომადგენლები. 22 საათზე საბჭოთა მეზღვაურები მატარებლით გაემგზავრნენ პარიზს.

გადმოგვცემენ, რომ ფაშისტური ტყვეობიდან ყველა განთავისუფლებულ საბჭოთა მეზღვაურს მეტად დაღლილი და გამხდარი სახე აქვს, რადგან დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდნენ ფაშისტურ საპყრობილეში.

## შვიდი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია

**სტოკჰოლმი**, 23 ივლისი (საკდესი). კოპენჰაგენიდან იუწყებიან, რომ იქ გაიხსნა შვეციის, ნორვეგიის, დანიის, ფინეთის, ჰოლანდიის, ბელგიისა და ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია.

სკანდინავიის ქვეყნების ბურჟუაზიული გაზეთების უმეტესობა გამოსთქვამს რწმენას, რომ კონფერენცია მიიღებს გადაწყვეტილებას, რათა კონფერენციაზე წარმოდგენილი ქვეყნები ერთად გამოვიდნენ ერთა ლიგის წინაშე და მოითხოვონ, რომ ეს ქვეყნები განთავისუფლებულ იქნან სანქციათა ჩატარებაში მონაწილეობის მიღების აუცილებლობისაგან.

ამხანაგ სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი ფუნიკულორის პლატოზე.
სურათზე: ცივი სასმელებისა და ნაყინის პავილიონთან.
ფოტო ი. რაშკოვისა და მ. კვირიკაშვილის („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

## მოსკოვი—თბილისი ველოსიპედებით

24 ივლისს თბილისის ფიზკულტურული საზოგადოებრიობა გულთბილად შეეგება მოსკოვ-თბილისის მარშრუტით გასამხედროებული ველოგარბენის მონაწილეებს, საზოგადოება „მოლნიას“ სპორტსმენებს—პოდბელსკის სახელობის კავშირგაბმულობის აკადემიის მსმენელებს.

საზოგადოება „მოლნიას“ გუნდები მოსკოვიდან გამოვიდნენ 24 ივნისს, ხოლო თბილისს ჩამოვიდნენ 24 ივლისს და, ამგვარად, 28 სასიარულო დღის განმავლობაში მათ 2.600 კილომეტრზე მეტი მანძილი დაჰფარეს.

მთელი გარბენა ჩატარდა მოსკოვისა და ხარკოვის ველოქარხნების სერიული ველოსიპედებით, რომლებმაც გამოცდა ჩინებულად ჩააბარეს.

ველოგადარბენის ყველა 10 მონაწილე კომანდირ ნ. ა. პოლიაკოვის მეთაურობით თავს საუცხოოდ ჰგრძნობს, ამჟამად ისინი ათვალიერებენ თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს.

მონაწილეებმა თავისი გადარბენა მიუძღვნეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებსა და ლენინური კომკავშირის 20 წლისთავს.

## კოჯორის საბავშვო ახალშენის არსებობის 15 წელი

მიმდინარე წლის 30 ივლისს, კოჯორის საბავშვო ახალშენს უსრულდება არსებობის 15 წელი. საბავშვო ახალშენმა ამ ხნის განმავლობაში აღზარდა ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისათვის უსაზღვროდ თავდადებული მრავალი ახალგაზრდა. ლენინ-სტალინის პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ უდიდესი ბავშვებს შეუქმნა ყოველგვარი პირობა სწავლისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის.

ბედნიერი ბავშვები ღირსეულად ამართლებენ პარტიისა და მთავრობის სტალინურ მზრუნველობას. საბავშვო ახალშენის აღსაზრდელები ენერგიულად იბრძვიან სწავლების მაღალი ხარისხისათვის. საბავშვო ახალშენს ჰყავს 130 ფრიადოსანი ბავშვი.

ბავშვებისათვის მოწყობილია კულტურულად კლუბი, პიონერთა ოთახი, კულტურისა და დასვენების პარკი, სასპორტო მოედანი და სხვ.

დიდი სტალინის მშვენივრად მოწყობილ ოთახში—აღსაზრდელები ეცნობიან ბელადის რევოლუციურ მოღვაწეობას და ცხოვრებას. ნაყოფიერად მუშაობენ ბავშვთა თვითმოქმედებითი წრეები: მომღერალთა, სიმებიანი, სასულე ორკესტრი, მეჩონგურეთა ანსამბლი, მოცეკვავეთა, ფოტო, რადიომოყვარულთა და სხვ.

30 ივლისს კოჯორის საბავშვო ახალშენს სტუმრად ეწვევიან მოძმე რესპუბლიკების საბავშვო სახლების აღსაზრდელები.

**გ. დავითაშვილი.**

## ამინდი

25 ივლისს დილისათვის დასავლეთ საქართველოში უმეტესად ღრუბლიანი ამინდი იდგა. მესტიაში მთელი ღამის განმავლობაში წვიმდა. ყველაზე მაღალი ტემპერატურა 25 გრადუსი იყო ოჩემჩირესა და ბათუმში. უმცირესი ტემპერატურა 14 გრადუსი იყო მესტიაში. ქუთაისში იყო 23, გალში — 24 და სოხუმში — 23 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში იდგა მოღრუბლული ამინდი; ჰაერის ტემპერატურა დილის 8 საათისათვის უდრიდა 23 გრადუსს (ყარაია, თელავი, ლაგოდეხი). თბილისში კი 22 გრადუსი იყო.

დღეს თბილისის მიდამოებში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმნიშვნელო გარდამავალი წვიმა, სუსტი ქარი; მოსალოდნელია ტემპერატურის მცირე დაკლება.

## ფეხბურთი

### „დინამო“—„პიშჩევიკი“

24 ივლისს ლ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა „პიშჩევიკისა“ და „დინამოს“ პირველი გუნდების საფინალო შეხვედრა თბილისის პირველობაზე.

თამაში დაიწყო „პიშჩევიკელთა“ შეტევით. 5 წუთის შემდეგ „დინამოელმა“ სოკოლოვმა ისარგებლა მოწინააღმდეგის კართან შექმნილი კრიტიკული მომენტით და „პიშჩევიკს“ ბადეში მკვრდით გაიტანა პირველი ბურთი, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ კიდევ ერთი ბურთით გადიდდა ანგარიში „დინამოელთა“ სასარგებლოდ.

„პიშჩევიკელებმა“ მოიკრიბეს ძალღონე, ისინი ენერგიულად დააწვნენ მოწინააღმდეგის კარს და ბურთის გატანის რამდენიმე უდავო შესაძლებლობაც შექმნეს, მაგრამ კარებში არაზუსტი დარტყმის შედეგად მათი კომბინაციები უშედეგოდ მთავრდებოდა.

პირველი ნახევარი დამთავრდა 2:0 „დინამოს“ სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევარი დაიწყო კვლავ „პიშჩევიკელების“ შეტევით. ისინი 15 წუთის განმავლობაში მოედნის ბატონ-პატრონი იყვნენ, მაგრამ გოლში დარტყმა კვლავ გაუბედავი და არაზუსტი იყო, რის გამო შედეგს ვერ მიაღწიეს.

მატჩი მოიგო „დინამომ“ ანგარიშით 6:0.

O

30 ივლისს თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდი ატარებს მეცამეტე მატჩს საკავშირო პირველობაზე. ამ დღეს მათ წინააღმდეგ გამოდის მოსკოვის „ბურევესტნიკის“ ოსტატთა გუნდი. ამით მთავრდება საკავშირო პირველობის გათამაშების პირველი ნახევარი.

პირველ აგვისტოდან იწყება 1938 წლის საკავშირო თასის გათამაშება.

2 აგვისტოს თბილისში თამაშობენ თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ ოსტატთა გუნდები. ამ მატჩში გამარჯვებული გუნდი შეხვდება როსტოვის ზონაში გამარჯვებულ გუნდს.

თბილისის „დინამო“ საკავშირო პირველობის გათამაშების მეორე ნახევარში ჩაებმება 21 აგვისტოდან. პირველ დღეს ის შეხვდება მოსკოვში წითელი არმიის ცენტრალურ სახლის („ცდკა“) ოსტატთა გუნდს.

**ს. გერგიძე**

O

## თბილისის „ლოკომოტივის“ მერვე დამარცხება

**მოსკოვი**, 24 ივლისი. (ფოტოტელეგრაფით საკ. კორ.). გუშინ „სტალინეცის“ სტადიონზე თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები შეხვდნენ „სტალინეცის“ ფეხბურთელებს. თამაში დამთავრდა ანგარიშით 4:1 „სტალინეცის“ სასარგებლოდ. ეს „ლოკომოტივის“ მერვე დამარცხებაა.

### სასამართლო

## სპეკულანტთა ბრბო

23 ივლისს ლენინის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოში [illegible] თავმჯდომარეობით დაიწყო სპეკულანტთა ბრბოს საჩვენებელი პროცესი, რომლებიც თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებზე მსხვილფეხა საქონლის ხორცით სპეკულაციას ეწეოდნენ.

საქმე სამი ტომისაგან შესდგება. პასუხისგებაში მიცემულია 23 კაცი, მათ შორის არიან: ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, ვეტ-ექიმები, სასაკლაოს დირექტორები, ბუღალტრები, ყასბ-გამყიდველები და სხვები, რომლებიც ურთიერთი კავშირით ანიავებდნენ ჯიშიან ძროხებსა და ხარებს და ამით ზიანს აყენებდნენ კოლმეურნეობებს.

სპეკულანტები: ვ. ბ. ქაჯაია, ს. ი. გიუნაშვილი, ლ. ი. აბესაძე, გ. ი. მინდიაშვილი, ი. ი. გზირიშვილი, ნ. ს. დოიაშვილი, დ. მ. კახიძე, გ. გ. ასლამაზოვი, ს. ი. ბექაური, გ. ნ. სულიპიანოვი, დ. გ. მუმლაძე და სხვები ყალბი მოწმობების საშუალებით თბილისში ერეკებოდნენ ხშირად მთელ ჯოგს და ანადგურებდნენ მას. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე სოდანლუღის სასაკლაოს დირექტორი სტეფანე აბრამის-ძე მოსინიანი და სასაკლაოს ვეტ-ექიმი ალექსანდრე მიხეილის-ძე ჩერმენსკი.

სპეკულანტები იმდენად გათამამდნენ, რომ ბაზრებზე გამოჰქონდათ მკვდარი საქონლის ხორცი და ასაღებდნენ, ისინი მომხმარებლებს ყვლეფდნენ მაღალი ფასებით.

სასამართლოს პირველ სხდომაზე დაკითხულმა ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ სცნეს წაყენებულ ბრალდებებში. სასამართლო პროცესი გრძელდება.

**მ. სურგულაძე**

## შემთხვევები

**თაღლითის შეპყრობა.** თბილისის მილიციის მე-8 განყოფილების თანამშრომლებმა შეიპყრეს თაღლითი ტ. მ. პლეტუხინი, რომელსაც წარსულში თაღლითობისა და ქურდობის რამდენიმე რეგისტრაცია აქვს. პლეტუხინი სისტემატურად ხვდებოდა რა ჩამოსულ კოლმეურნეებს მათ ურჩევდა, რომ იაფად ეყიდნათ მისგან მზესუმზირას ზეთი. ამრიგად პლეტუხინი ღებულობდა კოლმეურნეებისაგან ფულსა და ჭურჭელს, რის შემდეგ სწრაფად იმალებოდა.

შეპყრობის დროს პლეტუხინი თაღლითობაში გამოტყდა. თაღლითის საქმე სასამართლოს გადაეცა.

## პარტკალენდარი

### ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

26 ივლისს:

**საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი** — ინდივიდუალური კონსულტაცია საკ. კ. პ. (ბ) ისტორიაში. ქართულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. ბოჟაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**აგიტაციის კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: უცხოეთის სადაზვერვო ორგანოებისა და მათი ტროცკისტულ-ბუხარინული აგენტურის ჯაშუშურ - დივერსიული მუშაობის ხერხები და მეთოდები. საბჭოთა დაზვერვის მნიშვნელობა ხალხის მტრებთან ბრძოლაში. რუსულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. გეგია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ალკკ კაბინეტი** — კონსულტაცია თემაზე: მოსკოვის სახელმწიფო და გლეხური ომები XVII საუკუნეში. ქართულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. ცაგარეიშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

O

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომი აუწყებს ამხ. გიორგი არტემის-ძე კოკოიანოვს, მუჰამედ შაქირის-ძე იბრაგიმოვს, ლუდვიგ ანტონის-ძე ზურდოიანს და ბესარიონ საბასძე წიფურიას ორი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომში ამხ. გარიშვილთან.

O

26 ივლისს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარის მეცადინეობა.

რაიკომთან გაერთიანებულ აგიტატორთა დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ვ. ხატიაშვილი.**

საქფილეგთის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. 3-18-50

26, 27 ივლისს ტალონი № 56—57
**გასტროლები ლენინგრადისა და მოსკოვის ესტრადის მსახიობთა**
ძველი ბოშათა რომანსებისა და საბანაკო სიმღერების შემსრულებლის **ანა ორლოვას** მონაწილეობით.
დაწვრილებით აფიშებში. დასაწყ. საღ. 9 ს. 30 წ.
მუდმივ ადგილებზე მე-2 შესატანის გადახდა სავალდებულოა.

**ღია ესტრადა**
26 ივლისს
ხმოვანი კინო-კომედია
„ოქროს ტაიგა“
დასაწყ. საღ. 10 ს.
ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.

7 აგვისტოს **გასტროლი** სახელმწ. თეატრის ოპერეტისა. დაწვრილებით აფიშებში. 50

**დღეს სახკინმრეწვის თეატრებში**

| | |
|---|---|
| **ოქტომბერი**<br>პლეხანოვის პროსპ., 135 | ხმოვ. მხატვრ. ფილმი **უჩინარი კაცი**<br>დასაწყისი 7 ს. |
| **დამკვრელი**<br>პლეხანოვის პროსპ., 125 | საზაფხულო და საზამთრო შენობ. ახალი ხმოვანი კომედია **დ ა თ ვ ი** დასაწყ. 6-30 |
| **კომკავშირელი**<br>პლეხანოვის პროსპ., 91 | დადგმის უკანასკნელი დღე **გორკის ბავშვობა**<br>დასაწყ 6-30 |
| **რ. ლუქსემბურგის სახ.**<br>ჯორჯიაშვილის, 8 | ახალი ხმოვანი კომედია **დ ა თ ვ ი**<br>დასაწყ. 6-30 |
| **სპარტაკი**<br>რუსთაველის პროსპ., 23 | ხმოვანი ფილმი **პატარა დედა**<br>დასაწყ. 6-30 |
| **26 კომ. სახ.** (საზამთ. შენ.)<br>შაუმიანის მოედანი | საზაფხულო და საზამთრო შენობებ. ხმოვანი ფილმი **პატარა დედა** დასაწყ. 6-30 |
| **არსენა**<br>კომუნალური ქ., № 9 | ხმოვანი ფილმი **მეგობრები ბანაკიდან**<br>დასაწყ. 6-30 |
| **კომინტერნი** (საზაფხ.)<br>ბრძოლის ქ. № 222 | ხმოვანი ფილმი **ზ ა ნ გ ე ზ უ რ ი**<br>დასაწყ. 9 ს |
| **ახალი ამბები**<br>პლეხანოვის პროსპ., 125 | თეატრი დახურულია რემონტის გამო. |

**განცხადებების მიღება**
გაზეთებში:
„კომუნისტი“ „ახალგაზრდა კომუნისტი“ „პროლეტარი“
და „ენი-კენდი“
**ს წ ა რ მ ო ე ბ ს**
დილის 9 საათიდან 2½ ს-მდე
„კომუნისტის“ გამომცემლობაში
რუსთაველის პროსპექტი № 34.

## საქართველოს კომუნალური ბანკი

**აცნობებს ქ. თბილისის მოსახლეობას, რომ ყველა სახის მახიური გადასახადი: ბინის ქირა, საიჯარო გადასახადი არასაცხოვრებელ შენობებსა და დარაბებზე, განათების, წყალმომარაგებისა და ტელეფონის გადასახადი, და აგრეთვე სარენტო და შეფასებითი გამოსაღები, საშემოსავლო და კულტგადასახადი, სამოსამართლო გადასახადი, სახელმწიფო გადასახადი, გადასახადი ბრუნვისაგან, იმ პირებს, რომელთაც ბანკში არ აქვთ ანგარიშსწორების ანგარიში, მათთვის საშემოსავლო სალაროები ქალაქის შემდეგ პუნქტებშია გახსნილი:**

**კიროვის რაიონში**
1. ა/კ. ფედერაციის ქუჩა № 12 (სალარო № 1)
2. მახარაძის ქუჩა № 15 (სალარო № 3)
3. ბამბის ქუჩა № 2 (სალარო № 4)
4. რუსის ქუჩა № 3 (სალარო № 2)

**ორჯონიკიძის რაიონში**
5. რუსთაველის გამზ. № 39 (სალარო № 6)
6. ლენინის ქუჩა № 3 (სალარო № 7)
7. მარის ქუჩა № 10 (სალარო № 8)
8. საბურთალო № 7 (სალარო № 9)

**სტალინის სახელობის რაიონში**
9. საბჭოთა ქუჩა № 45 (სალარო № 10)
10. კრილოვის ქუჩა № 10 (სალარო № 11)
11. 25 თებერვლის (ყოფილი ტატიანას) ქ. (სალარო № 12)

**ლენინის სახელობის რაიონში**
12. მალაკნის ქუჩა № 4 (სალარო № 15)
13. იურიევის ქუჩა № 7 (სალარო № 16)

**26 კომისართა რაიონში**
14. მეტეხის ქუჩა № 20 (სარაიონო სახლმმართველობის შენობა) (სალარო №№ 18 და 19).

სალაროები ფულის მიღებას აწარმოებენ ყოველდღიურად დილის 9 ს.—2½ ს.
გადამხდელთა უკეთ მომსახურებისათვის სალაროები ღიაა როგორც სამუშაო დღეებს, აგრეთვე გამოსასვლელ დღეებში, გარდა ექვსდღიურის პირველი დღისა.
90 **საქართველოს კომუნალური ბანკი.**

## საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს დამატებით, რომ

**განახლებულია მიღება მცენარეთა დაცვის ფაკულტეტზე.**
**განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე.**

ინსტიტუტი აფრთხილებს აგრეთვე მისაღებ გამოცდებზე დაშვებულებს (ყველა ფაკულტეტზე), რომ უნდა გამოცხადდნენ საექიმო შემოწმებაზე 27, 28 და 29 ივლისს. ვინც საექიმო შემოწმებას არ გაივლის, გამოცდებზე არ დაიშვება.

40 **ინ-ტის დირექტორი დოც. ნ. გელაშვილი.**

## საქ. სარეწაო საბჭოში შემავალი არტელის „მკერავთა გაერთიანების“ დასკვნითი ბალანსი 1938 წლის 1 იანვრისათვის

**აქტივი**

| №№ რიგ. | მუხლების დასახელება | ჯამი |
|---|---|---|
| 1 | ძირითადი საშუალებანი | 35.757 |
| 2 | ნედლეული და მასალები | 45.589 |
| 3 | ნივთები, რომლებიც არ აღირიცხება ძირითად საშუალებ. | 37.928 |
| 4 | პროდუქცია და საქონელი | 76.106 |
| 5 | შინაგანი რესურსების მობილიზაციის წესით სარეალიზაციოდ გამოყოფილი საგნები | 1.507 |
| 6 | ფულადი საშუალებანი | 8.654 |
| 7 | საშუალებანი ანგარიშსწორებაში | 79.079 |
| 8 | ხარჯები მომავალი ოპერაციების ანგარიშით | 19.276 |
| 9 | განყენებული საშუალებანი | 30.593 |
| 10 | ხარჯები, ფონდების ანგარიშით დასაფარავი | 20.405 |
| 11 | დანაკარგები | 25.402 |
| | ბალანსი | 380.296 |

**პასივი**

| №№ რიგ. | მუხლების დასახელება | ჯამი |
|---|---|---|
| 1 | ფონდები | 203.984 |
| 2 | მიზნობრივი რეზერვები | 7.997 |
| 3 | მრეგულირებელი მუხლები | 674 |
| 4 | გრძელვადიანი კრედიტები | 32.000 |
| 5 | ანგარიშსწორებანი | 129.442 |
| 6 | მომავალი საანგარიშო პერიოდის შემოსავ. | 6.199 |
| | ბალანსი | 380.296 |

### მოგება-ზარალის ანგარიში

| | | |
|---|---|---|
| 1. | ზარალი რეალიზაციით | 35.881 |
| 2. | ხარჯები და ზარალი სხვადასხვა | 32.395 |
| | სულ | 68.276 |
| | ბალანსი | 68.276 |

| | | |
|---|---|---|
| 1 | შემოსავალი რეალიზ. | 3.398 |
| 2. | სხვა [illegible] შემოსავალი | 39.476 |
| | სულ | 42.874 |
| | დანაკარგები | 25.402 |
| | ბალანსი | 68.276 |

ბალანსი დამტკიცებულია საბალანსო კომისიის მიერ 1938 წლის 28 იანვარს.

არტ. გამგეობის თავმჯდომარე ოტიაშვილი. მთ. ბუხჰალტერი ნადარეიშვილი. 1157

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40.
მშრომელთა წერილების—3—73—24; პ-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ., № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ—222